# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.




დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 14 ნოემბერი, 2013 წელი.

№219 (7347)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## საქართველოს პრეზიდენტი და ოლიმპიადა სოჭში



8

**თბილისი აცხადებს, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მდგომარეობაზე იქნება დამოკიდებული - ჩავა თუ არა საქართველოს პრეზიდენტი ზამთრის ოლიმპიადაზე**

## ქვეყნის მაოხრებელი მიშას ეს ოინები მთელ მსოფლიოს გავაგებინოთ

2

## სააკაშვილმა ისევ მკვლელები შეიწყალა!!!



## ფრანგი ადვოკატები დავით კეზერაშვილის დაცვაზე უარს აცხადებენ

8

## მერიის არქიტექტორს პროექტის წაკითხვა უნდა შეეძლოს!

9

## გურამ ოდიშარია: კულტურამ უნდა დაიცვას მშვიდობა

5

## ცხუმ-აფხაზეთი: ბრძოლა ქართველი ერის ერთიანობიდან უცხო იარაღის ძალით მოწყვეტილი სულებისთვის...

9



## დღის ანეკდოტი



**ყვავად** გადაქცეული საპარლამენტო უმცირესობის ორი წევრი პარლამენტის შენობის სადარბაზო კარის თავზე მოკალათებულა. შენობიდან დეპუტატები გამოდიან. ერთმა ყვავმა მეორეს გადაუყრანტალა:

— მოდი, ამათ თავზე დავასკლინტოთ!

— კარგი, მე პარლამენტის თავმჯდომარეს დავასვრი, შენ — იმის პირველ მოადგილეს.

თქვეს და ქნეს კიდეც. უკან კმაყოფილები მობრუნდნენ. უცებ მესამე ყვავიც მოფრინდა:

— რასა იქმთ, არწივებო?

— აი, პარლამენტის უფროსობას დავასკლინტეთ, — აყრანტალდნენ კმაყოფილი ყვავები, — მაგრამ ცუდი ისაა, რომ სკლინტი მარტო ორისთვის გვეყო, — უცებ ჩამოყარეს ფრთები.

— არა უშავს რა, მაგას ეშველება, — დააიმედა ისინი მესამემ და პარლამენტარებისკენ გაფრინდა. პარლამენტის თავმჯდომარესაც დაასკლინტა, იმის მოადგილეებსაც, უმრავლესობის ლიდერსაც, ჩინიანი თუ უჩინო დეპუტატებიც მოთხვარა და კმაყოფილი მოფრინდა უკან.

— რა მაგარი ხარ! როგორ მოახერხე ამდენი? — თვალებში შესციცინებენ თანაფრთოსნები.

— მე წინა ცხოვრებაშიც ნაციონალური მოძრაობის წევრი ვიყავი! — ამაყად მოიღერა ყელი სკლინტხვავიანმა.

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ალიან-ჩალიანი

## ექსპერტები პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხის შესწავლას მოითხოვენ

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ პრეზიდენტის მხრიდან უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება შესასწავლია.

როგორც ექსპერტებმა კახა კახიშვილმა და ხათუნა ლაგაძიზემ ერთობლივად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, პრეზიდენტს სულ რამდენიმე დღე დარჩა და შეუძლებელია სამ და ოთხ დღეში მოქალაქეობის მსურველთა საქმეების საფუძვლიანად შესწავლა.

კახა კახიშვილის განცხადებით, პრეზიდენტს არ აქვს უფლება გადამოწმების გარეშე უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭოს.

— აუცილებელია კონკრეტული ადამიანების ბიოგრაფიის შესწავლა, ის თუ რა აკავშირებთ საქართველოსთან, ფლობენ თუ არა ქართულს. პრეზიდენტის მოქმედებაში შეინიშნება თანამდებობრივი დანაშაული, რადგან, თუ სააკაშვილი განგებ აკეთებს ამას სახელმწიფოს შესუსტებისთვის, მაშინ ეს გამოსაძიებელია, — განაცხადა კახიშვილმა.

ხათუნა ლაგაზიძის განმარტებით, შესასწავლია ასევე გარდა თურქეთისა, რომელიმე სახელმწიფოს მოქალაქეებს თუ მიენიჭათ უპირატესობა.

— როგორც ვიცით, პრეზიდენტმა თურქეთის უამრავ მოქალაქეს მიანიჭა საქართველოს მოქალაქეობა. არის საფრთხე, რომ თურქეთმა ეს ადამიანები საკუთარი სახელმწიფოს ინტერესებისთვის გამოიყენოს. ჩვენ ვდგავართ რეალური საფრთხის წინაშე, რომ თურქეთთან საზღვარი აღარ არსებობდეს, — აღნიშნა ლაგაზიძემ.

კახი კახიშვილის თქმით, ბევრი ადამიანისთვის მოქალაქეობის მინიჭებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს ვიზების საკითხის გადახედვაც.

— შესაძლოა, საქართველოს მოქალაქეები გახდნენ იმ ქვეყნის მოქალაქეები, რომლებსაც ევროპულ ქვეყნებში ვიზებთან დაკავშირებით პრობლემები აქვთ და ქართული პასპორტებით ეცადონ ვიზების მოპოვება, ეს აუცილებლად გამოიწვევს ვიზების საკითხის გადახედვას და, შესაძლოა, საქართველოს მოქალეებისთვის ვიზების მიღების პროცედურები გართულდეს, — განაცხადა კახიშვილმა.

## თსუ-ს ჰიდრომეტეოროლოგიური ლაბორატორია საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაშია შეტანილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიური ლაბორატორია ეკონომიკის სამინისტროს საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაშია შეტანილი.

აღნიშნული ინფორმაცია გუშინ პარლამენტს დეპუტატმა გიორგი გაჩეჩილაძემ მიაწოდა, რომელმაც პლენარულ სხდომაზე გიორგი კვირიკაშვილის უწყებას ლაბორატორიის გასაყიდ ობიექტთა ნუსხიდან ამოღების მოთხოვნით მიმართა.

როგორც მან განმარტა, ჰიდრომეტეოროლოგიური ლაბორატორია 1962 წელს შეიქმნა, ის ვერეს ხეობაშია განლაგებული და აღნიშნულ ლაბორატორიაში „გაიზარდა" ყველა იმ დარგის წარმომადგენელი, რომლებიც ემსახურებოდნენ გეოგრაფიას, ჰიდროლოგიას, მეტეოროლოგიას და სხვა საბუნებისმეტყველო საგანს.

გაჩეჩილაძის თქმით, ლაბორატორიას თსუ-ს გარდა, პრაქტიკებისთვის სხვა ოთხი უმაღლესი სასწავლებელიც იყენებს.

ამასთან, როგორც „მწვანეთა პარტიის" წარმომადგენელმა გუშინდელ სესიაზე აღნიშნა, ლაბორატორიის საპრივატიცაზიო ობიექტების ნუსხიდან ამოღების მოთხოვნით ორი თვის წინ მიმართა.

ინტერპრესი

SOS!

# ქვეყნის მაოხრებელი მიშას ეს ოინები მთელ მსოფლიოს გავაგებინოთ

## სააკაშვილმა ისევ მკვლელები შეიწყალა!!!

**მიხეილ სააკაშვილი, რომელიც 17 ნოემბრიდან ქვეყნის პრეზიდენტი აღარ იქნება, დაჩქარებული წესით იწყალებს პატიმრებს, მაგრამ სააკაშვილის შეწყალება არ შეხებიათ არასრულწლოვნებს, მანდილოსნებს, ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის გასამართლებულ და მძიმე სენით დაავადებულ პატიმრებს. პირველი პირი მხოლოდ უმძიმესი დანაშაულისთვის ბრალდებულ პირებს იწყალებს.**



**ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით 11 ნოემბერს კომისიის გვერდის ავლით, პრეზიდენტმა კიდევ 18 პატიმარი შეიწყალა. შეწყალებულთა შორის არიან მკვლელობისთვის ბრალდებულები, ნარკორეალიზატორები და ყაჩაღობისთვის ნასამართლევი პირები.**

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ამ დრომდე კომენტარს არ აკეთებენ კითხვაზე, რატომ იწყალებს სააკაშვილი მკვლელობის ბრალდებით დაკავებულ პირებს. პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ანდრო ბარნოვი სატელეფონო ზარებს არ პასუხობს. მეტიც, ამ თემაზე არც „ნაციონალური მოძრაობის" ლიდერები საუბრობენ.

მიხეილ სააკაშვილის მიერ პატიმრების შეწყალება, ეს უკვე მესამედ, გაუგებარი აღმოჩნდა შეწყალების კომისიის თავმჯდომარის **ელენე თევდორაძისთვის**.

— თქვენგან გავიგე ახლა ეს ინფორმაცია, არც კი ვიცოდი. კომისია ჩემი თავმჯდომარეობით ყოველთვის იყო ძალიან სერიოზულ ჩარჩოებში და ჩვენ არასდროს ასეთი დანაშაულისთვის ბრალდებულ პირებზე პრეზიდენტს რეკომენდაციას არ ვაძლევდით, — აცხადებს გაოცებული თევდორაძე.

კითხვაზე, თუ რა მიზანს ემსახურება სააკაშვილის მიერ მკვლელობის ბრალდებით გასამართლებული პირების და, მათ შორის, ნარკორეალიზატორების შეწყალება, ელენე თევდორაძე ასე პასუხობს:

— მე თუ მიყვარს ჩემი ქვეყანა, ჩემი ხალხი და მინდა, რომ მათ შიშის გარეშე იცხოვრონ, მე ასეთ რამეს არ გავაკეთებ. დანარჩენი, დასკვნა მკითხველისთვის მიმინდვია, — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას ელენე თევდორაძემ.იურისტი **კახი კახიშვილი** ამბობს, რომ სააკაშვილი ცდილობს მის ხელთ არსებული ყველა მეთოდი გამოიყენოს იმისათვის, რომ შეასუსტოს ქვეყანა და სახელმწიფო ინსტიტუტები. სწორედ ამიტომაც, ერთი მხრივ შეწყალების კომისიის გვერდის ავლით ისე, რომ საქმეებიც კი არაა შესწავლილი, სპეციალურად იწყალებს უმძიმეს დანაშაულში ბრალდებულ პირებს და, მეორე მხრივ კი, საქართველოს მოქალაქეობას არიგებს უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე.

— კონსტიტუციაში წერია, რომ პრეზიდენტს აქვს შეწყალების უფლება. პრეზიდენტს შეუძლია ნებისმიერი მსჯავრდებულის შეწყალება. აქედან გამომდინარე, ფორმალურად აქვს ამის უფლება, მაგრამ მეორეა, პრეზიდენტი არის ავტორი იმ სიტყვებისა, როგორიცაა „ნულოვანი ტოლერანტობა", „ყველა ციხეში", მათ შორის — ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის ბრალდებულები, „არ აგიკანკალდეთ ხელი, ესროლეთ, მოკალით ადგილზე". სააკაშვილი არის იმ ქვეყნის პრეზიდენტი, რომლის მმართველობის პერიოდში საქართველო პირველ ადგილზე გავიდა ევროპაში პატიმრების რაოდენობით.

პრეზიდენტი და მისი გუნდი 2012 წლის 1 ოქტომბრიდან საუბრობს იმაზე, რომ ქვეყანაში კრიმინალური მდგომარეობა ძალიან გაუარესდა, რომ პრობლემებია ქვეყანაში. ამ ყველაფრის ფონზე პრეზიდენტი იწყალებს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში მსჯავრდებულ პირებს, მათ შორის — მკვლელობაში, ნარკორეალიზაციისთვის და მათ შორის — პედოფილიისთვის გასამართლებულ პირებს.

ჩემი აზრით, ის არასახელმწიფოებრივად აზროვნებს, მას არ აინტერესებს რა პრობლემები შეიძლება შეექმნას თვითონ ქვეყანას, თუნდაც იმ მოქალაქეებს, რომლის პრეზიდენტი ერქვა 9 წელი, უბრალოდ, მისი მიზანია — რაც შეიძლება მეტად დაუმძიმოს ახალ ხელისუფლებას მდგომარეობა და დაუტოვოს ასეთი ქვეყანა. ცდილობს, რომ მის ხელთ არსებული ყველა მეთოდი გამოიყენოს იმისათვის, რომ შეასუსტოს ქვეყანა და სახელმწიფო ინსტიტუტები", — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას კახი კახიშვილი.

**მეტი რა უნდა დაუშაოს ქვეყნის მაოხრებელმა პრეზიდენტმა საკუთარ ხალხს?**

**გავაგებინოთ ეს ამბავი მთელ მსოფლიოს!**

თამთა ქარჩავა

ღმერთო, დაუბრუნე ქართველი საქართველოს!..

# გაისად არალეგალი ქართველები მასობრივად დაბრუნდებიან?

**მომავალ წელს ევროკავშირის ქვეყნებიდან არალეგალი ქართველების მასობრივი დაბრუნებაა მოსალოდნელი. ექსპერტები უკვე აცხადებენ, რომ სუსტი ეკონომიკის მქონე ქვეყანა, ამ ეტაპზე, მათ მისაღებად მზად არ არის. ამდენად, 2014 წლის სექტემბრამდე ათასობით არალეგალი ემიგრანტის სამშობლოში დაბრუნებამ, შესაძლოა, ეკონომიკური ფონი უფრო დაამძიმოს და კრიმინოგენური შემთხვევებიც გაზარდოს.**

არალეგალი ქართველების მასობრივ დაბრუნებას რეადმისიის შეთანხმება ითვალისწინებს, რომელიც ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების ერთ-ერთი მთავარი პირობაა.

რეადმისიის შეთანხმება უკვე ორი წელია მოქმედებს. შესაბამისად, ჩვენი ბიუჯეტის ხარჯზე ევროკავშირიდან არალეგალები პერიოდულად სამშობლოში იგზავნებიან, რაც არალეგალურად წასულ ჩვენს მოქალაქეებს სერიოზულ პრობლემებს უქმნის, რადგან ისინი უცხოეთში კარგი ცხოვრების გამო არ წასულან.

ექსპერტები ფიქრობენ, რომ საქართველოს მთავრობამ აღნიშნულ ხელშეკრულებას უნდა გადახედოს, რადგან ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა ჯერ კიდევ რთულია და საქართველოს ტერიტორიების ნაწილი ოკუპირებულია.

დემოგრაფი **ანზორ თოთაძე** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ არავინ დავობს, ქართველები უნდა დაბრუნდნენ, მაგრამ, თუ ქვეყანა ცოტა არ მოღონიერდა, ეკონომიკურად წელში არ გაიმართა, ერთბაშად მათი დაბრუნება ძალიან ძნელია. ამიტომ ჯერ უნდა შესრულდეს „ქართული ოცნების" პირველ ოთხ წელიწადზე გაწერილი სამოქმედო გეგმა.

ამასთან, ექსპერტი აცხადებს, რომ ბევრ მიგრანტს საქართველოში დაბრუნების სურვილიც არა აქვს. უნდა შევეგუოთ, რომ ძალიან ბევრი ადამიანი სამუდამოდ გადავიდა საზღვარგარეთ საცხოვრებლად. ისეთებიც არიან, რომლებიც თავიანთ ისტორიულ სამშობლოს დაუბრუნდნენ. თუნდაც 300 ათასზე მეტი რუსი, რომელიც წავიდა ისტორიულ სამშობლოში და აქ ჩამომსვლელი არ არის. მხოლოდ ძალიან მცირე მათგანი დაბრუნდა, რადგან თავიანთი ცხოვრების წესით ისე იყვნენ ქართველებთან შერწყმულნი, რომ რუსეთში ვეღარ გაძლეს. იგივე ითქმის უკრაინელებზეც, 50 ათასი უკრაინელიდან საქართველოში სულ რაღაც 3-4 ათასი თუ დარჩა, დანარჩენებმა თავიანთი ისტორიული სამშობლო არჩიეს. ექსპერტი ამას ეროვნული გრძნობის მოზღვავებას უკავშირებს, რაც ბოლო წლების თანმდევი მოვლენა იყო, თუმცა, არც მძიმე ეკონომიკურ პირობებსა და კონფლიქტებს გამორიცხავს.



— მეც შევესწარი ასეთ ფაქტს, ლტოლვილი ქალბატონი სოჭში ცხოვრობდა და საქართველოში დაბრუნდა, პრეზიდენტმა სააკაშვილმა მოგვიწოდა, ჩამოდით, ყველაფერში ხელს შეგიწყობთო. თუმცა, მათთვის ყურადღება არავის მიუქცევია. უბრალოდ, სიტყვის მასალისთვის, თავის გამოსაჩენად წამოროშა სააკაშვილმა რაღაც და ისინიც მის ნათქვამს წამოეგნენ, — აცხადებს ანზორ თოთაძე და არ გამორიცხავს, ალბათ, ოთხ წელიწადში შეიქმნება იმის წინაპირობა, რომ ჩვენს ქვეყანაში დიდი რაოდენობით მიგრანტი დაბრუნდეს.

მისივე თქმით, ზუსტად არავინ იცის, რამდენი არალეგალია საქართველოდან წასული. თუმცა, ბევრი რომ წავიდა, ეს ჩანს მათ მიერ საქართველოში გამოგზავნილი ფულით, რომლითაც მათი ოჯახის წევრები თავს ირჩენენ. ბოლო დროს რუსეთში ჩატარებული აღწერის მიხედვით, ირკვევა, თითქოს, რუსეთში სულ რაღაც 157 ათასი ქართველი ცხოვრობს. სინამდვილეში, არალეგალურად გაცილებით ბევრია წასული და ყველაზე მეტი ემიგრანტი რუსეთში გვყავს, ასევე, — თურქეთში, საბერძნეთში, აშშ-ში და სხვაგან...

იხ. 5 გვ.

№219. ხუთშაბათი, 14 ნოემბერი, 2013 წელი.

# ჭკუა თავშია და არა ხანში...

## დაისჯებიან თუ არა დამნაშავენი?!.

ჯერ საქართველოს მომავალი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის გარშემო აბობოქრებული ვნებები ჩამცხრალი არ იყო, რომ მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა გადადგომის შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა.

**„სამოქალაქო სექტორში ბიძინა ივანიშვილთან ერთად გადავინაცვლებ“ —** განაცხადა ჯერჯერობით მთავარმა პროკურორმა. კბილაშვილი მიიჩნევს, რომ მისი პოლიტიკაში გამოჩენა 41 წლის ასაკში ნაადრევი იყო.

რაც შეეხება მასა და ირაკლი ღარიბაშვილს შორის არსებულ უთანხმოებას, კბილაშვილმა ჩემგან განსხვავებით საკმაოდ პოლიტკორექტული პასუხი გასცა (მე ამ შემთხვევაში დელიკატური არ ვარ და არ ვამბობ „აზრთა სხვადასხვაობას“): **„ჩვენ გვქონდა და გვაქვს განსხვავებული შეხვედულები პრიორიტეტებთან, გამოწვევებთან და სამართალდამცველ სფეროში გასატარებელ რეფორმებთან დაკავშირებით “.**

რა თქმა უნდა, მედიამ, საზოგადოებამ და სხვადასხვა ჯურის ექსპერტებმა, მაშინვე აიტაცეს ეს თემა და კბილაშვილის გადადგომის მიზეზები სხვადასხვა რაკურსში განიხილეს.

განიხილეს და ყველამ თავისი „ხაზეინების“ გემოვნების შესაფერისი კომენტარი გააკეთა.

გავრცელდა ჭორებიც (ოდნავ მოგვიანებით გეტყვით).

მოდით, ამ ტელეშემფასებლებს თავი დავანებოთ და ვთქვათ, თუ რა რეაქცია ჰქონდა საზოგადოებას კბილაშვილის გადადგომაზე (ცხადია, მიხვდით, რომ ე.წ. „ცნობად სახეებს“ არ ვგულისხმობ და ნამდვილ საზოგადოებაზე, ანუ ხალხზე მაქვს საუბარი).

ხალხმა კი ეს ფაქტი საკმაოდ ზუსტად და როგორც პრემიერ-მინისტრს (ორივეს) უყვარს თქმა, ადეკვატურად შეაფასა.

პირველი და მთავარი ის იყო, რომ საზოგადოებამ აბსოლუტურად სწორად შეაფასა ჯერ ღარიბაშვილის გაპრემიერება და მერე კბილაშვილის გადადგომა იმ კუთხით, რომ ორივენი მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობებზე პოლიტიკური ნიშნით იყვნენ დანიშნულნი და მათი ფუნქცია საზოგადოებისთვის ამ ორი სისტემის ჭეშმარიტი დანიშნულების ჩვენება იყო.

მათ ე.წ. კოჰაბიტაციის პირობებში, ავად თუ კარგად, ამ მისიას გარკვეულწილად თავი გაართვეს.

მიუხედავად იმისა, რომ იყო ბევრი უკმაყოფილო მოსაზრება (და ხშირ შემთხვევაში ძალიან უკმაყოფილო), იმ 20 000 საქმის გარშემო, რომლებიც წინა ხელისუფლების მიერ წართმეული ქონების შესახებ პროკურატურაშია შეტანილი და მათგან მხოლოდ რამდენიმე დაკმაყოფილდა (პოლიტკორექტულობის გამო არ ვიტყვი, თუ რომელი საქმეები დაკმაყოფილდა), იყო უკმაყოფილება ე.წ. „რეიდების“, თუ „აფთიაქში რატომ შეხვედი, ბიჭოს“ მიმართ (თქვენი მონა-მორჩილი პირადად არის იმ გონივრული ეჭვის მსხვერპლი, რომელიც მის მიმართ ამ ე.წ. „რეიდებში“ ჯერ კიდევ არაევროპელ პატრულ-ინსპექტორებს აღეძრათ), იყო უკმაყოფილება ძველი, ჯალათი კადრების არამც თუ დაპატიმრებაზე, დაწინაურებაზეც კი. საზოგადოებამ მიუხედავად მისი „პოლიტიკური უმწიფრობისა“ (ამ ფრაზის ავტორსაც არ დავასახელებ), მაინც აბსოლუტურად ზუსტად შეაფასა მათი საქმიანობა.

ისიც ითქვა (ჭორებზე, რომლებიც ზემოთ დავაანონსე), რომ კბილაშვილს, ფაქტობრივად, ყველა გახმაურებული საქმე დამთავრებული აქვს და რაც შეეხება ლოგიკურ დასრულებას, ამას უკვე ახალი მთავარი პროკურორი შეასრულებსო.

ითქვა, „მტრედების დრო დამთავრდა და ქორები მოვიდნენო“.

არ დაგიმალავ, ძვირფასო მკითხველო, და ეს შეფასებები არც „რედისონ ბლუ ივერიას“ საკონფერენციო დარბაზში გამიგონია და არც რომელიმე „მარადგამჭვირვალე არასამთავრობო“ ორგანიზაციის „დასკვნა-რეკომენდაციაში“ ამომიკითხავს.

ავტობუსი, კაფე, სამარშრუტო ტაქსი — აი, ჩემი მთავარი ანალიტიკოსების თავშესაყარი ადგილი და დამერწმუნეთ, რომ იქ არასოდეს ცდებიან.

არ დაგიმალავთ და პრემიერ-მინისტრის (და, ბუნებრივია, მთელი ამ ძვრების) დასახელების წინა დღეს, სამარშრუტო ტაქსში ერთი რეგიონული მასშტაბის მაღალჩინოსანი შემხვდა. კი გამიკვირდა მისი იქ ყოფნა, მაგრამ არ შევიმჩნიე და მისი შეშინებული სახით დასმული შეკითხვა — ღარიბაშვილს დანიშნავს? უკვე იმის მაჩვენებელი იყო, რომ მას, როგორც ქუდდამწვარ ქურდს „მტრედის“ ნაცვლად „ქორის“ მოსვლის ეშინოდა.

სავარაუდოდ, მისი შიში გამართლდა.

**„საქართველოს ახალი მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე იქნება. ფარცხალაძე ამ დროისთვის ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის**





**ხელმძღვანელია. ფარცხალაძე 1971 წელს არის დაბადებული. ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ამჟამინდელ უფროსს 37 წლის ოთარ ფარცხალაძეს, რომელიც 2012 წელს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველოს უფროსად მუშაობდა, ანაზღაურების სახით 74 170.00 ლარი აქვს მიღებული. ამის შესახებ ინფორმაციას ოთარ ფარცხალაძე ქონებრივ დეკლარაციაში უთითებს. აღსანიშნავია, რომ ოთარ ფარცხალაძე თანამდებობაზე ყოფნის პარალელურად შპს „ბოდი გარდის“ თანაპარტნიორიც იყო, რომელიც თბილისში ვაჟა-ფშაველას გამზირზე 45-ში („რუსთავი 2“-ს ყოფილი შენობა) მდებარეობდა. შპს „ბოდი გარდი“ 2004 წლის 15 აპრილს არის დარეგისტრირებული (ზოგადი ცნობისთვის: „ბოდი გარდი“ „მცველს“ ნიშნავს და იმათ, ვისაც ჰგონია, რომ ეს ან ალკოჰოლური, თუ უალკოჰოლო სასმელების, ან ტკბილეულის ფაბრიკაა, ძალიან ცდება).**

**„საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე ირაკლი ღარიბაშვილს ალექსანდრე ჭიკაიძე შეცვლის.**

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ალექსანდრე ჭიკაიძის ბიოგრაფიული მონაცემები ასეთია:**

**დაბადების თარიღი და ადგილი: 6 ივნისი, 1985 წელი; ქ.თბილისი.**

**განათლება: 2007 წ. — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისტორიის ფაკულტეტი, დიპლომატიის სპეციალობით.**

**წოდება: პოლიციის პოლკოვნიკი.**

**პროფესიული გამოცდილება: 2013 წლის მარტიდან დღემდე — შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსი.**

**2012-2013 წ.წ. — შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი.**

**2011-2012 წ.წ. — შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის განყოფილების უფროსი. 2010-2011 წ.წ. — შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელი.**

**2009 წ. — შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელი.**

**2008- 2009 წ.წ. — მუშაობდა თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის და ვაკე-საბურთალოს რაიონების სხვადასხვა განყოფილებაში.**

**ენების ცოდნა: ქართული, რუსული, ინგლისური.**

**ოჯახური მდგომარეობა: ჰყავს მეუღლე და ორი შვილი“.**

ეს ამ ორი უმთავრესი ძალოვანი სტრუქტურის სავარაუდო ხელმძღვანელთა ის მონაცემებია, რომლებიც ელექტრონულ მედიაში გავრცელდა.

მათი პროფესიული პოტენციალის მოკლე შეფასებას (იმ პოტენციალის, რომელსაც საზოგადოება ელოდება), ახლა შემოგთავაზებთ.

დავიწყებ ოთარ ფარცხალაძიდან.

პრინციპში ეს შეფასება ყველაზე „კარგად“ საპარლამენტო უმცირესობის წევრმა ირმა ნადირაშვილმა გააკეთა:

„ირაკლი ღარიბაშვილმა რამდენიმე თვის წინ არჩილ კბილაშვილის მაკონტროლებლად, მისი მოადგილის თანამდებობაზე გიორგი გაბიტაშვილი დანიშნა. ამ მექანიზმმა ჯეროვნად ვერ იმუშავა და დღეს უკვე მთავარი პროკურორის პოსტზე ირაკლი ღარიბაშვილის კადრი ოთარ ფარცხალაძე ინიშნება. ეს იმას ნიშნავს, რომ პროკურატურა, რომელიც ბუნებრივად არის შინაგან საქმეთა სამინისტროს მაკონტროლებელი, ამ ფუნქციას ვეღარ შეასრულებს და მისი დანამატი გახდება. ამ ტენდენციაზე ისიც მიუთითებს, რომ ახალი მთავარი პროკურორის შესახებ ინფორმაცია მედიას მიაწოდა არა იუსტიციის მინისტრმა, რაც თავისთავად ბუნებრივი იქნებოდა, არამედ შსს-ს პრესსამსახურის უფროსმა“, — განუცხადა ჟურნალისტებს ირმა ნადირაშვილმა.

მისივე თქმით, „ფარცხალაძე იმ გახმაურებული სპეცოპერაციის ავტორია, როცა საქართველოში ვიზიტად მყოფ ნატოს გენერალურ მდივანს რასმუსენს წასვლაც არ აცალეს, საკრებულოს წევრები და გამგებლები დაიჭირეს, ქუჩებში ასეირნეს, დაკითხვაზე მიიყვანეს, გამოუშვეს და შემდეგ ისევ დაიჭირეს“.

„ასე რომ, ფარცხალაძის პოლიტიკურ ალღოზე თავადაც შეგიძლიათ იმსჯელოთ“, — დასძინა ნადირაშვილმა.

დიახ, აბსოლუტურად მართალია ქალბატონი ნადირაშვილი იმაში, რომ ოთარ ფარცხალაძე „ქორია“. ის არ მოერიდა (გულზე ხელი დავიდოთ და რატომ უნდა მორიდებოდა?) ნატოს გენერალურ მდივანს და დაიჭირა ის ჩინოსნები, რომლებიც ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით ბანკომატებიდან სალაფავივით თქვლეფდნენ ჩვენს მიერ, ხალხის მიერ ბიუჯეტში გადახდილ ფულს.

დიახ, ქალბატონო ირმა! ვმსჯელობ მის პოლიტიკურ ალღოზე და რატომღაც ჯერ გიგი უგულავა და შემდეგ მერიის მიერ რაღაც სულელურ და ხელოვნურად შექმნილ სამსახურებში დასაქმებული მრავალი ყოფილი ნაცმოძელი დეპუტატი მახსენდება.

რაც შეეხება მომავალ შსს მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძეს.

სოციალურ ქსელ ფეისბუქში მის მიმართ საკმაოდ განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა. იყო მინიშნებები ღარიბაშვილთან მის ნათელმირონობაზე. იყო საუბარი იმაზეც, რომ ის მიშას დროს გლდანი-ნაძალადევის პოლიციის უფროსი იყო და ე.ი. „ხელი უეჭველად გასვრილი ექნებაო“. იყო კამათი მის ასაკზეც, რომელიც რატომღაც მთელს მინისტრთა კაბინეტზე გავრცელდა (თბილისის განახლებულ პარლამენტში ჭოჭინა ყველა კაბინეტის კარში შეეტევა? მინისტრთა კაბინეტის ჰიმნი რა იქნება, „ჩუნგა ჩანგა“ ჰო? ასაკი პრიჩომ, კია მოზვერივით და...), მაგრამ განწყობა და პათოსი ისაა, რომ დასაჭერებს დაიჭერენ.

ალექსანდრე ჭიკაიძის მიერ განვლილი გზა, რომელიც ნამდვილ პოლიციელობაზე მეტყველებს, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ პოლიციაშიც პოლიტიკოსის ნაცვლად „ქორი“ მოვიდა.

„Мент есть мент! Политик есть политик!“

ცნობილი რუსული სერიალის „ანტიკილერის“ ერთ-ერთი გმირის ფრაზის ოდნავ სახეცვლილი ფორმა, ზუსტად გვაჩვენებს ამ დანიშვნებთან დაკავშირებით საქართველოს მოსახლეობაში გავრცელებულ შეფასებს.

მოკლედ რომ ვთქვა, ხალხი ელოდება კოჰაბიტაციის დასასრულს და სამართლიანობის აღდგენას. ხალხი ელოდება დამნაშავეების დასჯას. ხალხი ელოდება...

ბევრი რომ არ ვილაპარაკო, მომავალი გვიჩვენებს, თუ როგორ მოიქცევიან ახალი ძალოვნები.

დაველოდოთ, დრო გვაქვს!

**გია გაბრიჭიძე**

---

**ალიან-ჩალიანი**

## ახალქალაქის მაჟორიტარი თედო ჯაფარიძესა და გუგული მაღრაძეს საყვედურობს

**ახალქალაქის მაჟორიტარი დეპუტატი, უმცირესობის წევრი სამველ პეტროსიანი საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეს თედო ჯაფარიძეს და პარლამენტის წევრს გუგული მაღრაძეს სომხეთის პრეზიდენტის მიმართ არაკორექტული განცხადების გაკეთებაში ადანაშაულებს.**

**როგორც სამველ პეტროსიანმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, ჯაფარიძემ და მაღრაძემ საკუთარი განცხადებით სცადეს, სომხეთსა და მეზობელ თურქეთს შორის ურთიერთობათა გაუმჯობესება არ დაუშვან.**

**— მიმდინარე წლის 4 ოქტომბერს, თურქეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლების მიერ, ასევე საქართველოს პარლამენტის წევრების თედო ჯაფარიძის და გუგული მაღრაძის მიერ გაკეთდა არაკორექტული განცხადება სომხეთის პრეზიდენტისადმი. მისგან მოითხოვეს ბოდიშის მოხდა იმის გამო, რომ თითქოს სომხეთის პრეზიდენტმა თავის გამოსვლებში თურქეთის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიები გამოხატა. თურქეთი და სომხეთი საქართველოსთვის მეგობარი ქვეყნებია. მიმაჩნია, რომ ჩვენი პოზიცია მიმართული უნდა იყოს სომხეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებისკენ. დარწმუნებული ვარ, რომ სომხეთს სამართლიანობის პრინციპზე სურს, ნორმალური, თანასწორუფლებიანი ურთიერთობის დამყარება ყველა მეზობელ ქვეყანასთან — მათ შორის თურქეთთან. ბატონო თედო და ქალბატონო გუგული, თქვენი განცხადებით უფრო ღრმა ბზარს აჩენთ მეზობელ ქვეყნებს შორის ურთიერთობაში. თქვენ დღეს ცდილობთ, არ დაუშვათ ურთიერთობათა გაუმჯობესება სომხეთსა და მეზობელ ქვეყნებს შორის. თუკი გნებავთ რაღაცის თქმა სომხეთსა და მეზობელი ქვეყნის ურთიერთობების შესახებ, რომელთანაც სომხეთს დიპლომატიური კავშირი არა აქვს, მაშინ ისაუბრეთ მათ ურთიერთობათა გაუმჯობესებაზე და არა გაუარესებაზე. მიმაჩნია, სწორად აღიქვამთ ჩემს ნათქვამს და მიიღებთ ზომებს შეცდომის გამოსასწორებლად, — განაცხადა სესიაზე პეტროსიანმა.**

**ინტერპრესი**



# ამ ეტაპზე ქალაქებს – ჯვარს, წნორს და ვალეს მაინც მივხედოთ!

**ჩვენი აზრით, ერთ-ერთი უმთავრესი შეცდომა, რაც ნაციონალურმა მოძრაობამ ხელისუფლებაში ყოფნის დროს დაუშვა, ქვეყანაში ასე თუ ისე არსებული (ხაზს ვუსვამთ — არსებული!) თვითმმართველობის ანულირება იყო: საქართველოს ყველა სოფელსა და რაიონული დაქვემდებარების ქალაქში გაუქმდა საკრებულოები და გამგეობები. მმართველობის ეს რგოლი შენარჩუნდა მხოლოდ რაიონების დონეზე, სიტყვა „რაიონი" „მუნიციპალიტეტით" ჩაანაცვლეს და მივიღეთ „ქართული თვითმმართველობა", რომელიც, შესაძლოა, მთავრობის და ხელისუფლების რომელიმე წევრისთვის „იყო" ადგილობრივი თვითმმართველობა, თორემ ვერ მომიძებნით საქართველოს რომელიმე სოფელში ან მუნიციპალური დაქვემდებარების ქალაქში თავის დასახლებაზე ოდნავ მაინც მოფიქრალ პიროვნებას, ვინც მუნიციპალიტეტის დონეზე არსებულ მმართველობას თვითმმართველობად აღიქვამდეს!**

განსაკუთრებით ცუდ, შეიძლება ითქვას, კურიოზულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ მუნიციპალური დაქვემდებარების ის ქალაქები, რომლებიც მუნიციპალიტეტის ცენტრები არ არიან. ასეთები საქართველოში, რამდენადაც ვიცი, სულ ოთხად ოთხია: **ჯვარი, წნორი, ვალე და ახალი ათონი** (როგორც მოგეხსენებათ, ეს უკანასკნელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქია და ოკუპირებულ ტერიტორიაზეა).

როცა საკრებულოები და გამგეობები გაუქმდა (ქალაქი ჯვარი თავისი ინფრასტრუქტურით და შესაბამისი კომუნიკაციებით გაცილებით რთული დასახლებაა, ვიდრე მუნიციპალიტეტის ცენტრი ქალაქი — წალენჯიხა) ჯვარიც სხვა დასახლებული პუნქტებივით, სოფლებივით, ერთი რწმუნებულის ანაბარა დარჩა. დროთა განმავლობაში, ეტყობა, სიტუაციის აბსურდულობას „ზემოთაც" მიხვდნენ და რწმუნებულს მუნიციპალიტეტის გამგეობის რამდენიმე „სპეციალისტი" (რამდენადაც ვიცი — სამი) წაახმარეს.

ვინც ვერ გაერკვა „ნაციონალური რეფორმების" არსში, რწმუნებულებს ისევ (ინერციით) გამგებლებს უწოდებს და პრეტენზიებსაც „გამგებლის დონისას" უყენებენ (აქედან არის მათ მიმართ, ხშირად უსამართლო პრეტანზიები); ხოლო, ვინც გაერკვა, რწმუნებულებს „ფოსტალიონები" შეარქვა, რადგან ვერანაირ პრობლემას ის ადგილზე, დამოუკიდებლად, ვერ გადაგიწყვეტს: დაწერ განცხადებას, წაუღებს მუნიციპალიტეტის გამგებელს, მოგიტანს უკან პასუხს...

ის სულ სხვა ამბავია, რა რეაგირება მოჰყვებოდა სოფლის თუ ქალაქის მცხოვრების მიერ გამგებლისთვის „ფოსტალიონის" მეშვეობით გაგზავნილ განცხადებას... ისე, ცოდვა გამხელილი ჯობს და, ჩვენი მუნიციპალიტეტის მაგალითზე ვერც ერთ გამგებელს

## მოსაზრებანი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" პროექტის გამო

(და საკრებულოს თავმჯდომარეს) უყურადღებობაში, ალბათ, ვერავინ ვერ დაადანაშაულებს, მაგრამ, უბრალოდ, ფიზიკურად შეუძლებელია გაწვდე ყველაფერს, როცა 15-20 სოფელში (მითუმეტეს უფრო — თუ ამ სოფლებთან ერთად ქალაქიც არის!) ნებისმიერი უმნიშვნელო, მარტივი საყოფაცხოვრებო პრობლება **კანონიერად** შენი ჩარევის გარეშე ვერ მოგვარდება.

ჩვენ, სოფლის და მუნიციპალიტეტში შემავალი რთული ინფრასტრუქტურის მქონე ქალაქში მცხოვრებთ, სულ სხვა რამ გვაწუხებს: რა ვქნათ, მორიდებული ხალხი ვართ, ბიძინა ივანიშვილის თქმისა არ იყოს, „ქართული მენტალიტეტიც" გვაქვს და ძაან გვეუხერხულება ყოველ წვრილმან საყოფაცხოვრებო პრობლემაზე (ვთქვათ, ტუალეტი, კანალიზაცია, სანტექნიკა და ა.შ. სხვისი გამუდმებით შეწუხება (თანაც ისეთ რამეზე, რაც ჩვენ გაცილებით უკეთ შეგვიძლია გავაკეთოთ)!

* * *

**სწორედ ჩვენი „ქართული მენტალიტეტის", „მორიდებისა" და მრავალგზის „უხერხულ მდგომარეობაში" ჩავარდნის გამო რამდენჯერმე გულმოდგინედ წავიკითხეთ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მთავრობის მიერ პარლამენტში წარდგენილი ვარიანტი.**

გულწრფელად უნდა ვთქვათ: „კოდექსმა" **ურთიერთსაპირისპირო განწყობები** დაგვიტოვა. მოგვეჩვენა, თითქოს პროექტზე მომუშავე ავტორები, რაღაც „დემოკრატის", „თვითმმართველობის" (დამოუკიდებლობის) „გარკვეულ" **ჩარჩოებში** მოქმედებდნენ. ასეთ „პირობებში" პროექტის ავტორებმა, ჩვენი აზრით, დადეს **უფრო მომავალზე** ორიენტირებული დოკუმენტი. ამის თქმის საფუძველს იძლევა კოდექსის პირველი და მეორე კარი, რომლებიც მუნიციპალიტეტს და მუნიციპალიტეტთან „დაკავშირებულ" მუხლებს მოიცავს. **საქართველოს სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის კუთხით, ვფიქრობთ, უთუოდ წინ გადადგმული ნაბიჯია „ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანიზებასთან" დაკავშირებული მუხლები** (პირველი კარის მეორე თავი)...

ერთი სიტყვით, ჩვენი (რიგითი მოქალაქის!) კომპეტენციის მიხედვით „მუნიციპალიტეტებთან" ყველაფერი „წესრიგშია"!

სამწუხაროდ, იგივეს ვერ ვიტყვით კოდექსის მე-4 კარის შესახებ („მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში და დასახლების საზოგადოებრივი საბჭო"). ჩვენი აზრით ( აქ უკვე მარტო „რიგითი მოქალაქე" არ ვარ, აქ ქალაქის საკრებულოს ყოფილი ხელმძღვანელი და ერთ წელიწადში გადამდგარი პირიც ვარ!), ამ კარის მუხლები უფრო ვირტაუალური სფეროდანაა. ამ „სამყაროში" ჩვენ უკვე ვცხოვრობდით, სწორედ ამის გამო გადავდექი მაშინ (გასული საუკუნის 90-იან წლებში) ქალაქის ერთ-ერთი ხელმძღვანელის თანამდებობიდან.

მოქალაქეთა როგორი **„მონაწილეობა"** შეიძლება გვქონდეს ქართულ სოფელში და როგორი თვითმმართველობაა მოსალოდნელი ზემოთ, სათაურში, ჩამოთვლილ ქალაქებში, ნათლად ჩანს

„კოდექსის" 90-ე მუხლის მე-2-3 პუნქტებში:

„2. დასახლებაში შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ერთი საზოგადოებრივი საბჭო, გარდა მმართველი ქალაქისა. თვითმმართველ ქალაქში საზოგადოებრივი საბჭო იქმნება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განსაზღვრულ ტერიტორიულ საზღვრებში.

3. საზოგადოებრივი **საბჭო არ არის საჯარო ხელისუფლების განხორციელების ფორმა,** საზოგადოებრივი საბჭო წარმოადგენს **ადგილობრივი თვითმმაართველობის განხორციელებაში ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის მექანიზმს"** (ხაზგასმა ჩემია — **მ. ჭ.**).

შეიძლება, დღევანდელი ქართული სოფელისთვის ეს წინგადადგმული ნაბიჯია (და, ალბათ, ეს ასეცაა), მაგრამ ასეთი „საზოგადოებრივი საბჭოების" იმედად ყოფნა რას ნიშნავს, რომ მიხვდეთ, ბატონო მთავრობის წევრებო და ბატონო პარლამენტარებო, 1-3 თვე მაინც უნდა გაატაროთ ქალაქ ჯვარში (აქ ჩვენ გიმასპინძლებთ!), ქალაქ წნორში ან ქალაქ ვალეში!...

* * *

**არ ვიცით, „კოდექსისთვის" პლუსად ჩაითვლება თუ მინუსად, მაგრამ ის ძალზე „დინამიურია" (ხისტი არ არის). რა გვაქვს მხედველობაში? ამ კოდექსის მიხედვით შესაძლებელია საქართველოს მთავრობამ (პირველ რიგში) და საქართველოს პარლამენტმა (თანხმობის შემთხვევაში) სახელმწიფო ადმინისტრაციულად მოაწყონ ძალიან კარგად, ან... ძალიან ცუდად!**

ჩვენ, რა თქმა უნდა, გვესმის მთავრობის იმ წევრებისაც, შესაბამისი სპეციალისტებისაც, რომლებიც პრესითა თუ ტელევიზიით აკეთებენ კომენტარს თვითმმართველობის რეფორმებთან დაკავშირებით და რადიკალური, ხისტი ღონისძიების გატარებისგან თავს იკავებენ...

**კი, ბატონო, მაგრამ ამ ეტაპზე ქალაქებს ჯვარს, წნორს და ვალეს (სულ 3 ქალაქზეა საუბარი!) მაინც მივხედოთ!**

თუმცა, ოდნავ მოგვიანებით, მაგრამ ნაციონალებიც მიხვდნენ, რომ სოფლის დონეზე არ შეიძლება მართო 60 მრავალსართულიანი კორპუსისა და რთული ინფრასტრუქტურის მქონე 7 000-მცხოვრებიანი ქალაქი (ადრე 16 000-მდე ცხოვრობდა, მაგრამ სხვადასხვა ცნობილ მიზეზთა გამო ქალაქი „დაიცალა").

რას შემოგვთავაზებს ახალი ხელისუფლება, მალე გამოჩნდება. „კოდექსის" მიხედვით ასეთი ალტერნატივა (ორიდან ერთი გზა) ჩანს:

1) ან **საზოგადოებრივ** საბჭოსა და საერთო კრების **უხელფასო** თავმჯდომარის (მუხლი 94.3) იმედად ყოფნა (ნუ გავიწყდებათ, ისეთ ქალაქზეა საუბარი, რომელსაც **მარტო** ენგურჰესის თაღოვანი კაშხლის მიწისა და ქონების გადასახადის სახით ადგილობრივ ბიუჯეტში სულ ცოტა **მილიონ ორასი ათასი ლარი** შეაქვს!),

2) ან ირგვლივ მიმდებარე სოფლებთან (ჩქვალერი, ჭალე, მუჟავა, ფახულანი, ლია) ერთად მუნიციპალიტეტის (თვითმმართველი თემის) ჩამოყალიბება („კოდექსის" I-II კარი).

* * *

**ამ ბოლო ვარიანტს უფრო ღრმა საზოგადოებრივი დატვირთვაც აქვს. ქალაქი ჯვარი და ზემოთ ჩამოთვლილი სოფლები ის დასახლებებია, რომლებმაც საკუთარ თავზე იწვნიეს ენგურჰესის მშენებლობის პროცესის და აშენების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. ხოლო, როდესაც კაშხლიდან მიღებული მილიონები მათი საერთო ძალით შექმნილი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ჩაირიცხება და უშუალოდ დასახლებებისა და მცხოვრებთა, მათი შვილების კეთილდღეობას მოხმარდება, ეს თვალსაჩინო მაგალითი, ნიმუში იქნება იმ რეგიონის მცხოვრებლებისთვის, რომლებიც უკომპრომისოდ ეწინააღმდეგებიან ახალი ჰესების მშენებლობას. ჯვარის მუნიციპალიტეტის მაგალითზე, ვფიქრობთ, ისინი უფრო რეალურად შეაფასებენ მშენებლობის დადებით და უარყოფით ასპექტებს.**

**მურად ჭანტურია.**

**P. S. წერილი მზად გვქონდა, როცა შევიტყვეთ: ქალაქ ჯვართან (ცენტრი) ერთად მუნიციპალიტეტის (თვითმმართველი თემის) იდეას ისეთი აღტაცება და ენთუზიაზმი გამოუწვევია ზემოთ ხსენებული სოფლების მოსახლეობაში, რომ მთავრობაში წარსადგენად სამ დღეში ათი ათასამდე ხელმოწერა (მისამართისა და პირადი ნომრის ჩვენებით) შეგროვილა!**

**არ ვიცით, ეს ამბავი როგორ დამთავრდება, მაგრამ მთავარი რა არის, იცით? ხალხმა გამოიღვიძა, ხალხი ამოძრავდა, ხალხმა დაიწყო, თავის სოფელზე, ქალაქზე, კუთხეზე, შვილებზე და მომავალზე ფიქრი! ეს გაცილებით, გაცილებით(!) მეტი სიკეთის მომტანია, ვიდრე ორასლარიანი (თუნდაც — ათასლარიანი!) ვაუჩერი!..**

**მ. ჭ.**

## კაკალ გულში

## წერტილოვანი ფრაზები

**● მიშამ, ანდერძს ვწერ და ჩემიანდრო ერთად იწერება თუ ცალ-ცალკეო?**

**● ჰერალდიკის საბჭო (ელდარ შენგელაია) სახელმწიფო სიმბოლოების შეურაცხყოფის გამო სანქციების გამკაცრებას ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბრწყინვალების ორდენის გულებით მოხატვით იმუქრება.**

**● საგანელიძე მართლა არსებობს თუ დამესიზმრა?**

**● „არასერიოზულ კაცში" ნიკო რო ატყუებს მამამისს, ვმუშაობო, ისეა ანდრო ბარნოვი.**

**● სახელმწიფო ვართ ჩვენ — ხალხი!!!**

**არავის ვერჩი, უბრალოდ ცოტა სერიოზულობა აკლია ხელისუფლებას...**

**ამომრჩეველს, ანუ ჩვენ ისე გვექცევიან, როგორც მოესურვებათ და ეს არ უნდა ვაპატიოთ, თითოეულ „წვრილმანზეც"კი პასუხი უნდა გვაღირსონ!!!**

**სახელმწიფო ვართ ჩვენ — ხალხი!!!**

**● რა მოაქვს ამერიკულ ხომალდს... როგორც ყოველთვის პამპერსი და წყალი?**

**● ახლად არჩეულ პრეზიდენტს იმდენად პატარა უფლებები აქვს, საერთოდ რად უნდა თუნდაც მცირე რეზიდენცია, ვერ ვიგებ. არ ჯობია, ერთი მძლავრი ლეპტოპი მივცეთ და სახლიდან იმუშაოს?**

**● რა გვენატოება, ბორდელებში არ გვიშვებენ, ქართველებო!**

**● ისეთ დღეში უნდა ჩავაგდოთ,თვითონ გარბოდნენ ციხეში!**

**● ფუ, რა ნაცამინდია, ყველაფერი მტკივა.**

**● იყიდება ქალიშვილობის აღდგენა 5 წუთში http://bit.ly/1j01ReL**

**● ვაზელინი რო ამოიწურება, სემიჩკის ზეთზე გადადით!!!! ბუასილსაც უხდება!**

**● ვინც დასაჭერი იყო, ყველა წასულა უკვე უცხოეთში და აპა ახლა მე ვარ ჩამოსული საქართველოში და მე დამიჭირეთ მაშინ.**

**● დავით უსუფაშვილი: მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ამერიკული ხომალდი მეორედ შემოვიდა."**

**ვეთანხმები. — მნიშვნელოვანი შარი და უბედურებაა!**

**● საბრალონი... :)) ნაცსაბჭოს თავმჯდომარემ ბაქრაძემ და გენერალურად მჯდომარე მერაბიშვილმა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები განიხილეს... მატროსოვის ციხეში! :))**

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძემ**

ანგარიში

# გურამ ოდიშარია: კულტურამ უნდა დაიცვას მშვიდობა

**კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ერთი წლის მუშაობის ანგარიში ერთ მარტივ სახელწოდებაში მოაქცია; „კულტურა ციფრებში“ — ასე ეწოდა პრეზენტაციას, რომელიც თავად მინისტრმა გურამ ოდიშარიამ დიპლომატიურ კორპუსს, არასამთავრობო სექტორს, ჟურნალისტებსა და მოწვეულ სტუმრებს წარუდგინა. კულტურამ, როგორც ანტიდოტმა უნდა დაიცვას მშვიდობა, — ეს არის მინისტრის კრედო და ამ უწყების კედლებში ყველაზე მეტად იგრძნობა სიმშვიდე, ძველი ხელისუფლებისა და ახალი მმართველობის უწყინარი თანამშრომლობა. ყველაზე ხმაურიანად და სკანდალურად მოსული გურამ ოდიშარია მარტივად და თანმიმდევრულად აგრძელებს მუშაობას. აღნიშნა კიდეც, რომ ხელმძღვანელი პირები იცვლებიან, მაგრამ შეუცვლელი უნდა იყოს ის კურსი, რასაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ჰქვიაო.**

ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ, რომ აქამდე კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გამოკვეთილი პროგრამაც კი არ ჰქონია, თუმცა, მომავალი წლიდან პირველად დაიდება სამინისტროს კულტურის პოლიტიკა. ჩვენ ვივლით მოკლე გზით მეტი შედეგის მისაღებად, — ირწმუნება გურამ ოდიშარია.

რითი იყო მნიშვნელოვანი გასული წელიწადი? — **„უპირველესად იმით, რომ ფართოდ გავაღეთ სამინისტროს კარები, ვაწყობთ შეხვედრებს, ვმართავთ მრგვალ მაგიდებს, იქმნება სხვადასხვა საკითხზე მომუშავე კომისიები, გავხდით გამჭვირვალე“,** — აღნიშნა მინისტრმა და ამით იმაზე მიანიშნა, რომ ის თითქმის არც ერთ საკითხზე ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას არ იღებს და ყველა თემა კონსენსუსით წყდება. გასული წლის ნოემბერ-დეკემბერში ახლადდანიშნულ მინისტრს 2000-ზე მეტი შეხვედრა ჰქონია მოქალაქეებთან, რომელთაგან ბევრი ინიციატივა და წინადადება მოისმინა. გურამ ოდიშარიამ ანგარიშის წარდგენისას ყველაზე დიდი დრო მოანდომა რეგიონებში არსებულ ვითარებაზე საუბარს. **„არ შეიძლება მხოლოდ დედაქალაქი ცხოვრობდეს სისხლსავსე შემოქმედებითი ცხოვრებით და რეგიონებში ჩამკვდარი იყოს კულტურა. მე მოვახერხე თითქმის ყველა ქალაქსა და რაიონში ჩასვლა და შევისწავლე პრობლემები. ყველგან შეიქმნება კულტურული ცენტრები, გაკეთდება დიდი კინოეკრანები, მოეწყობა მასტერკლასები. ჩემი მიზანია, აღმოსავლეთ საქართველო „გავაცნო“ დასავლეთ საქართველოს, რადგან ხანდახან ჩამოსულმა უცხოელმა ტურისტებმა მეტი იციან ხოლმე ჩვენზე, ვიდრე ადგილობრივებმა. ხელი უნდა შევუწყოთ ახალგაზრდებს ამ მიმართულებით და ვითანამშრომლოთ სხვა სამინისტროებთან. გამოვდივარ ინიციატივით — რომ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს მეტი წვდომა ჰქონდეს საქართველოს კულტურასა და ხელოვნებაზე. კულტურული ადამიანი ინტელიგენტია, დახვეწილია, ტოლერანტია. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, რა სიმდიდრე გვაქვს“,** — აღნიშნა გურამ ოდიშარიამ.

კულტურის სამინისტროს საქმიანობის საკმაოდ ვრცელი ნუსხაა: ეს ეხება სახელოვნებო განათლებას, სახალხო თეატრებს, საქართველოს ფარგლებს შიგნითა და გარეთ ძეგლების რესტავრაცია-რეაბილიტაციას, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და პოპულარიზაციას, სამუზეუმო საქმიანობას, სხვადასხვა სახის გამოფენებს, კინო თუ თეატრალურ ფესტივალებს, კონცერტებს, გამოცემებსა და სხვა მნიშვნელოვან შემოქმედებით დეტალებს...

რამდენიმე დღეში ქართველთა დელეგაცია იუნესკოს შეკრებაზე გაემგზავრება, სადაც გელათის საერთაშორისო მნიშვნელობის ძეგლთა შორის შეყვანაზე იქნება საუბარი. მინისტრის მოადგილე მარინე მიზანდარი

## როგორ გამოიხატა „ციფრებში“ ერთი წლის კულტურა?



აქტიურად ლობირებს საკითხს, ამ კონტექსტში განიხილონ ქართული ქვევრის ღვინო და ლაღიძის წყლებიც. აქვე დიდი მადლიერებით უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმა საკუთარი ფონდიდან გამოყო მილიონი დოლარი გელათის რესტავრაციისათვის. როგორც მინისტრმა აღნიშნა კულტურა და ეკონომიკა მჭიდრო ურთიერთკავშირშია. ერთ-ერთ ჰოლანდიელ სპეციალისტს უთქვამს: „არ ვიცი როგორ, მაგრამ როცა კულტურის პოპულარიზაციისთვის ჩავდებთ ერთ ევროს, აქედან 26 ევრო გვიბრუნდებაო“.

### ინფორმაცია თემაში

*მოლაპარაკებების შედეგად წარმატებით განხორციელდა იშხნის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც მიღებული ნორმების დაცვით მიმდინარეობს. შედგა 5 ექსპედიცია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად და შედეგად თურქულმა მხარემ იშხნის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის დასრულების ვადა გაახანგრძლივა. სამუშაოები 2014 წლის მაისში დასრულდება. მინისტრის თქმით, ე. წ. სადავო ეკლესიების საკითხი ფაქიზი და კონფლიქტსაშიში თემაა, მაგრამ ყველაფრის გადაწყვეტა შეიძლება დიალოგით. საბოლოო გადაწყვეტილებას კი სამთავრობო კომისია მიიღებს.*

*ილორის ტაძარი არასწორი რესტავრაციის შედეგად სახედაკარგულია. ამასთან დაკავშირებით დიალოგი მიმდინარეობს აფხაზურ მხარესთან. იგივე არ უნდა განმეორდეს მოქვთან და ბედიასთან დაკავშირებით, ამიტომ სხვა საერთაშორისო კონფლიქტოლოგიის განხრით მომუშავე ორგანიზაციების დახმარებით შეიძლება შეთანხმების მიღწევა.*

*რაც შეეხება რაბათის ციხეს, გუმბათის ფერი და გისოსები შეიცვლება. თურქი სპეციალისტების მოთხოვნით, გუმბათი ოქროსფერის ნაცვლად ტყვიისფრად გადაიღებება, ხოლო ჩახლართულ, მოგვირისტებულ ახალ გისოსებს კვლავ ძველით შეცვლიან.*

შეიძლება ამ მოტივითაც მოაწერა ხელი მინისტრმა განკარგულებას, რომლის თანახმად, ბოლნისის რაიონში მდებარე საყდრისის 4000 წლის ოქროს მაღაროს მოეხსნა უძრავი ძეგლის სტატუსი. ამის გამო გურამ ოდიშარიას სამინისტროს კარებთან ახალგაზრდებმა აქცია მოუწყეს და რუსული კერძო კომპანიის ინტერესების ლობირებაში დაადანაშაულეს. როგორც ენერგეტიკისა და ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა **მირონ ფარცხელანმა** აღნიშნა: **„ეგვიპტეში ათასი წლის გვიანდელი მაღარო აღმოაჩინეს მხოლოდ და მხოლოდ. ეს ქართული მაღარო კი მაშინდელ მსოფლიოს ამარაგებდა ოქროთი. ყოველივე ამის განადგურება ნიშნავს ქართული სულიერების განადგურებას“.** ამის შესახებ გურამ ოდიშარიამ ანგარიშის წარდგენის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა. მან თქვა, რომ ერთპიროვნულად გადაწყვეტილება არ მიუღია, არამედ სამუშაო ჯგუფთან შეთანხმების შემდეგ მოაწერა ხელი განკარგულებას. საკითხი ბოლომდე გადაწყვეტილი ჯერჯერობით არ არის და მას საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია შეისწავლის. მისი თქმით, იქ სხვა უფრო მნიშვნელოვანი ინტერესები ჩაიდო, ხოლო თავად მაღაროში აღმოჩენილი ნიმუშები გახდება სამუზეუმო ექსპონატი. ამაზე მკვეთრად უარყოფითი იყო აქციის მონაწილეთა რეაქცია: **„რა არის იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე 4000 წლის უწინდელი სამუშაო იარაღები, დამუშავების ტექნიკა და ის ადგილი, სადაც ოქრო გამოჰყავდათ. ისინი მხოლოდ გარიგებაში არიან შესული რუსულ კომპანიასთან, რომლის წარმომადგენელიც კობა ნაყოფია გახლავთ. ბიძინა ივანიშვილი, როგორც ვიცი, თავიდან წინააღმდეგი იყო ამ მაღაროს გაყიდვის, მაგრამ ახლა განსახილველად გადასცა მეცნიერებათა აკადემიას, რომელსაც საკმაოდ არაჯანსაღი პოზიცია უკავია. სამწუხაროდ, თუკი ეს საკითხი გადაწყდა ისე, რომ მაღაროს აფეთქების ნება გასცეს, ეს იმას ნიშნავს, რომ ფაქტობრივად დაიკარგება მაღაროს ყველა ის ძირითადი ცოცხალი სახე, რითაც ის ერთადერთი და უნიკალურია მსოფლიოში“,** — აღნიშნა მირონ ფარცხელანმა.

სტუდენტური გაერთიანების „მწვანე მუშტის“ წარმომადგენელმა სალომე ჭანტურიძემ კი განაცხადა: **„იმედი მაქვს, რომ კულტურის სამინისტროს ძეგლებისადმი ასეთი დამოკიდებულება არ გაგრძელდება და მომავალი წლის ანგარიშში დანგრეული საყდრისი არ მოხვდება“.**

გურამ ოდიშარიამ კომენტარი გააკეთა სხვა სადავო ძეგლებთან დაკავშირებითაც, იშხანზე, ოშკზე, ზარზმაზე და აღნიშნა, რომ თურქეთის სახელმწიფოსთან კონსენსუსი მიღწეულია. ასევე ისაუბრა სხვადასხვა კონფენსიების ძეგლებზე, რომელთა ბედიც დღემდე გაურკვეველია. მასზე კომპლექსურად მუშაობენ არა მხოლოდ სამინისტროს წარმომადგენლები, არამედ მეცნიერები, ექსპერტები, სასულიერო პირები...

რაც უდავოდ მნიშვნელოვანია, სამინისტროში შეიქმნა სრულიად ახალი უწყება ანალიტიკური დეპარტამენტი, რომელიც განიხილავს პროექტებს და დაგეგმავს ფინანსურ საკითხებს. სამინისტრო გადავა სხვა ტიპის დაფინანსებაზე, რომელიც იზრუნებს მოგებაზე. მიღებულ დივიდენდებს კი კვლავ კულტურის განვითარებას მოახმარს.

მინისტრი საკუთარ თავს ახალ მინისტრთა კაბინეტში მოიაზრებს. ის აღნიშნავს, რომ გუნდურობა წარმატებისთვის მნიშვნელოვანია. **„როდესაც ივანიშვილმა რამდენჯერმე გაიმეორა, ჩვენ ყველანი ერთად გავიმარჯვებთო, ეს სიტყვები არჩევნებზე გამართლდა. გარწმუნებთ, რომ მომავალი წელიწადი პოლიტიკური დაპირისპირებისგან თავისუფალი და თანაბარი განვითარების წელი იქნება. 2014 კულტურის წელიწადი გახდება“,** — ამბობს მინისტრი, რომელსაც ერთმნიშვნელოვნად სჯერა, რომ კულტურა ქმნის ქვეყანას, ხვეწავს მას და უხსნის ახალ ჰორიზონტებს.

**თეა მოსია**

ღმერთო, დაუბრუნე ქართველი საქართველოს!..

# მომავალ წელს არალეგალი ქართველები მასობრივად დაბრუნდებიან?

(მეორე გვერდიდან) **— თუ ისინი ერთდროულად მოაწყდებიან თავიანთ სამშობლოს, ეს ძალზე მძიმე შედეგებს გამოიწვევს. მოგეხსენებათ, ჩვენთან უმუშევრობის მაღალი დონეა. სხვათა შორის, წინა წლებშიც პოსტსაბჭოთა სივრცეში უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე საქართველოში იყო. ჩვენი ქვეყანა ჯერაც ვერ გამოვიდა იმ შოკიდან, რაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მიაყენა ჩვენს ხალხს. ისინი ბევრ ზიანს კიდევ მიაყენებენ საქართველოს. ამიტომ უცხოეთში მყოფი ჩვენი არალეგალები როცა დაბრუნდებიან, ჩვენს ქვეყანას გაუჭირდება, გაიზრდება ფასები, უმუშევრობის დონე და ეს არა მარტო ეკონომიკას დაეტყობა, არამედ — სამართალდარღვევის ფაქტების მატებასაც,** — აღნიშნა დემოგრაფმა.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **დემურ გიორხელიძე** ადასტურებს, რომ საკუთარი მოქალაქეების უკან დაბრუნების პრობლემა აშკარად დგას ჩვენი ქვეყნის წინაშე. მართალია, არსებობს ძალიან კარგად გათვლილი კონცეფცია ემიგრანტების დაბრუნების თაობაზე, რომელიც ეკონომიკაში მათ ჩართულობაზეა მიბმული, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი მთავრობა ჯერ ამ მიმართულებით არ დგამს ნაბიჯებს და ეს კონცეფცია სამოქმედოდ არ მიუღია. ამის გამო კი, შესაძლოა, ჩვენი მთავრობა სერიოზული ფაქტის წინაშე დადგეს, როცა ათი ათასობით ადამიანი დაბრუნდება და სოციალური ფონი დამძიმდება.

უფრო კონკრეტულად, დემურ გიორხელიძე განმარტავს, რომ გეგმა გულისხმობს არა მარტო ემიგრანტების დაბრუნებას, არამედ ეკონომიკაში მათი თანხების ჩადების შემთხვევაში, გარკვეული საშეღავათო პირობების მინიჭებას, მათი ინვესტიციების დაცულობას. საუბარია არა სასათბურე პირობების შექმნაზე, არამედ გარანტიებზე, როდესაც ადამიანებს საკუთარი ნაშრომი არ დაეკარგებათ და დანაზოგებს მოახმარენ არა მარტო ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას, არამედ საკუთარ კეთილდღეობას.

**— ჯერჯერობით ასეთი პირობები არ შექმნილა. ამიტომ ემიგრანტები არ ჩქარობენ თავიანთი ბიზნესის საქართველოში გავრცელებას და საკუთარი დანაზოგის ქართულ ეკონომიკაში ჩადებას. ბუნებრივია, საერთო გართულების ფონზე, ევროპაში დასაქმებასთან არსებული პრობლემების გამო არალეგალებს ურჩევნიათ, უცხოეთში გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფნას საკუთარ სახლში მაინც იყვნენ. თუმცა, ასი ათასობით ადამიანის უკან დაბრუნება ნიშნავს, რომ დღევანდელი ტოტალური უმუშევრობის პირობებში, სოციალური ფონი კიდევ უფრო დამძიმდება. თუ საგადასახადო ცვლილებები არ იქნა მიღებული, თუ ემიგრანტების ბიზნესში მონაწილეობის დროს მათი კაპიტალის უკან მობრუნების სტიმული არ იქნება, ადამიანები ამჯობინებენ, კვლავ გარეთ ჰქონდეთ თავიანთი დანაზოგი და ბიზნესი არ შემოიტანონ ჩვენს ქვეყანაში. ვისაც არ აქვს საკუთარი ბიზნესი, ცხადია, ის მოაწყდება თავის ქვეყანას და ბევრად უფრო გართულებულ მდგომარეობას მივიღებთ,** — თქვა დემურ გიორხელიძემ For.ge-სთან საუბარში.

**მისთვის გაუგებარია, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებასთან რა შუაშია ჩვენი ქვეყნის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ხალხის დაბრუნება?! ამიტომ იგი ვერ ხედავს კავშირს ემიგრანტების დაბრუნებასა და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებას შორის.**

**მანანა ნოზაძე**

# ადამიანი იწყება ღირსებიდან

## დღეს ძილის დრო და უფლება არა გვაქვს!

„ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა“ *(შოთა რუსთაველი)*

„ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნეს“ *(ილია ჭავჭავაძე)*



ახლა, პატივცემულო ელიზბარ, მოვუსმინოთ ადამიანს, რომელსაც ქალბატონი ბურჯანაძე გამოცდილებას უწუნებს და ულირსი მეთოდებით ებრძვის.

**„9 წლის განმავლობაში დანგრეულს 9 თვეში ვერ გაასწორებ. 9 წლის სტრესმიღებულ საზოგადოებას ერთბაშად ვერ აღადგენ, სწორედ ამისთვის გვინდა კოჰაბიტაციის დასრულება, რომ აღარასოდეს აღდგეს პოლიციური სახელმწიფო და კლანური კონტროლი მედიაზე. 27 ოქტომბერს უნდა დასრულდეს კოჰაბიტაცია. გაცილებით იოლია დამნაშავეთა კოცონზე „დაწვა“, ამას ბევრი პიარული დივიდენდი მოაქვს, მაგრამ სამართლის გვერდის ავლით დანთებული კოცონი მომავალი სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტს წვავს“.**

დიახ, სწორად გამოიცანით, ეს ბატონი გიორგი მარგველაშვილის სიტყვები გახლავთ და ძნელია, არ დაეთანხმო ქალბატონ ბურჯანაძეს იმაში, რომ ბატონ გიორგის არა აქვს მისებრი (ბურჯანაძისებრი) „მდიდარი“ გამოცდილება (ღმერთმა დაიფაროს) ქვეყნის ნგრევაში, მოსახლეობის ფსიქოლოგიურ დეგრადირებაში, ქვეყნის გაღატაკებაში, პოლიციური სახელმწიფოს მშენებლობაში, მედიასაშუალებათა რბევაში და უკანონოდ დაპატრონებაში, ხალხის ძარცვა-გლეჯაში, მშვიდობიანი დემონსტრაციების დარბევაში, ხალხის ცემა-ტყეპასა და ხოცვა-ჟლეტაში, საკუთარი ღირსების ერთ ლარად გაყიდვაში, სამშობლოს აშკარა და უაპელაციო ღალატში.

**სამაგიეროდ ბატონ გიორგის აქვს უმაღლესი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულების შექმნისა და შემდგომში წარმატებული ხელმძღვანელობის გამოცდილება; მინისტრობის მოკლე, რვათვიან პერიოდში თქვენი ფავორიტის ხელდასმით დაწყებული მავნებლური პოლიტიკის შედეგად მოშლილ-მონგრეული განათლების სახელმწიფო სისტემის აღსადგენად მყარი საფუძვლის ჩაყრის გამოცდილება; ჩვენი მომავალი თაობის, საქართველოს პატარა მოქალაქეებისა და მათი მშობლებისათვის უამრავი, რეალური და ხელშესახები სიკეთის კეთების გამოცდილება. ამასთანავე იგი გახლავთ სანიმუშო განათლებისა და ინტელექტის მქონე ჭეშმარიტი ინტელიგენტი და მამულიშვილი, რომელიც არასოდეს არ ორპირობს და ყოველთვის თანამიმდევრულია საუბარსა და მოქმედებაში.**

**„გიორგი ჩვენი თაობის მერაბ მამარდაშვილად და ქართული ფილოსოფიის სკოლის უდიდეს იმედად ითვლებოდა. მისი სიმაღლის ინტელექტი უიშვიათესია და მე ცოტა მინახავს ისევე, როგორც მისი აბსოლუტურად კრისტალური წესიერება“ —** ეს, კიდევ ერთი გონიერი, თავისი ერისა და ქვეყნის მომავალზე ღრმად მოაზროვნე, ჭეშმარიტი მამულიშვილის ბატონი ლევან ვასაძისეული შეფასება გახლავთ გიორგი მარგველაშვილისა.

* * *

ჩვენი საზოგადოების ბოლო ორი ათწლეულის ქმედებიდან ერთი მეტად სავალალო ტენდენცია გამოიკვეთა, რომელსაც სამოცდაათწლიანმა „კომუნისტურმა ჯოჯოხეთმაც“ კი ბევრი ვერაფერი დააკლო. **ყველა სხვა „სიკეთესთან“ ერთად, რაც ჩვენ გვჭირს, ეს გახლავთ ერთ-ერთი უმძიმესი სენი, რომელიც ჩვენი დინჯი, გონიერი, საღად მოაზროვნე, გმირი და წმინდანებად შერაცხილი წინაპრებისაგან მეტად სახიფათო სისწრაფით გვაშორებს და ერის გადაშენებისაკენ მიგვაქანებს. ეს სენი, რომელიც გვჭირს, მეც, თქვენც და მთელს ჩვენს „აქტიურად მოლაპარაკე“ საზოგადოებას, გახლავთ ინტელექტისა და ლოგიკური აზროვნების უნარის დეგრადაცია.** **ამ სენისგან ჩვენი თაობის განკურნება უკვე ძნელია, თითქმის შეუძლებელია, მაგრამ ჩვენსავით მინიმალური აზროვნების უნარის მქონე ადამიანებისთვისაც კი ნათელი უნდა იყოს, რომ ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის მომავალი სიძლიერის, განვითარებისა და აყვავების საფუძველთა საფუძველი შეიძლება გახდეს მხოლოდ იმ თაობის სიკეთითა და სიყვარულით განსწავლა და გაწვრთნა, რომელიც ჩვენს ოჯახებში ჯერ კიდევ ოთხზე დაცოცავს და ფეხზე დადგომას ცდილობს. სწორედ ამიტომ, კარგად უნდა გავიაზროთ ბიძინა ივანიშვილის განცხადების რეალისტურობა იმის შესახებ, რომ ჩვენი დიდი მოწადინების, მუხლჩაუხრელი შრომისა და ურთიერთსიყვარულის მეშვეობით, საქართველომ საუკეთესო შემთხვევაში, ოც წელიწადში შეიძლება ჭეშმარიტად გაიბრწყინოს, და, თუ საღი აზროვნების თუნდაც ნატამალი შეგვრჩენია, ხმამაღლა კი არ უნდა ვიყაყანოთ განურჩევლად, ერთმანეთის ხმების გადასაფარად, ჩადენილი ცოდვების მოსანანიებლად ხელში სანთლით, რუდუნებით უნდა ვეძებოთ ის ღვთისნიერი ადამიანები, რომლებსაც ცოდნითა და სიკეთით სავსე თბილ გარემოში ჩვენი მომავალი თაობის განათლებულ, ჯანმრთელ, შრომისმოყვარე მოქალაქეებად აღრზდაზე მამულიშვილური ზრუნვა ხელეწიფებათ.**

**ჩვენი პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ღმერთმა ერთი ისეთი ადამიანი უკვე მოგვივლინა, რომლისათვისაც მთავარია არა სკამი და თანამდებობა, არამედ სიკეთითა და სიყვარულით სამშობლოსა და თავისი ხალხის სამსახური, იმ ერთს მეორე მოაყოლა. მაგრამ, სამწუხაროდ, კეთილი საქმის კეთების უნარი არ არის ისეთი გადამდები და ისე სწრაფად არ ვრცელდება, როგორც ყოველი უკეთურობა;** როდესაც ბატონი გიორგის მინისტრის კაბინეტის უბრალოების გამო ტელეკორესპონდენტმა გაოცება გამოთქვა, მინისტრმა უპასუხა — „მე პლასტელინივით გარემოებას ვერგებიო“. ეს „პლასტელინი“ ერთუჯრედიანმა „ნაცბანდელებმა“ და მათმა დამქაშებმა ჯერ ხელზე დაიხვიეს, შემდეგ იმ პლასტელინით ტვინები გადაიგლისეს და მათთვის ჩვეული, მახინჯი ინტერპრეტაციით მთელს ქვეყანას მოსდეს. მე მინდა განვუმარტო ხალხის სიძულვილით, ბოროტების გესლით სულმოწამლულთ და მათ სულიერ და-ძმებს, ასევე საქართველოს პატივცემული საზოგადოების იმ ნაწილს, რომელმაც დღემდე ვერ გააცნობიერა, **რომ გიორგი მარგველაშვილს არც ძვირფასი ვენეციური ავეჯი სჭირდება კაბინეტში და არც თანამდებობა იზიდავს. კეთილი, ჭკვიანური და ხალხისთვის სასარგებლო საქმეების საკეთებლად მისთვის უბრალო გარემო, ახალდაბის ფაბრიკაში დამზადებული მაგიდა და ტაბურეტიც საკმარისია, ხოლო იმის კიდევ ერთხელ თვალნათლივ შეფასებისათვის, თუ რა ურთიერთკავშირშია სამუშაო გარემოს ხარისხი ადამიანის სულიერებასთან, გაიხსენეთ ჯალათი და სისხლისმსმელი ახალაიას კაბინეტი, აპარტამენტები და სამსახურებრივ მანქანაში ჩამონტაჟებული ნახევარმილიონიანი ღირებულების ტელე-ვიდეო და გასართობი აპარატურა, რომლის მეშვეობითაც იგი, ალბათ, მანქანით გადაადგილების დროსაც კი მის მიერ ხალხის წამებისა და გაუპატიურების კადრების ცქერით ტკბებოდა. სხვათა შორის ბატონო ელიზბარ, როგორც ჩემთვის ცნობილია, თქვენს ფავორიტს ამ და მისმაგვარი სხვა ურჩხულების გამოჩხრეკაში, გამოზრდასა და დაფრთიანებაშიც მიუძღვის წვლილი სააკაშვილთან ერთად.**

**ძალიან კარგად მესმის რომ, რაც გატყდა, იმას ველარ გაამრთელებ, დროის ბორბალს უკან ველარ დააბრუნებ, მაგრამ ამბობენ, გონიერი კაცი სხვის შეცდომებზე სწავლობსო და თუ გონებამ და მეხსიერებამ საბოლოოდ გვიღალატა და საკუთარ შეცდომებზე სწავლის უნარიც დავკარგეთ, მთლად ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე.**

მომიტევეთ, რომ შევყევი პატივცემულ ელიზბართან საუბარს და მკითხველი იმ განუკითხაობასა და ქაოსში დავტოვე, რომელმაც მისი შემოქმედი და მამოძრავებელიც იმსხვერპლა და საქართველოს ყოფნა-არყოფნაც სასწორზე დადო! ჭკუის სასწავლი დასკვნების გამოსატანად კვლავ მინდა დავუბრუნდე იმ პერიოდს, როცა საფუძველი ჩაეყარა ყველა ჩვენს დღევანდელ უბედურებას და მცირედი პარალელი გავავლო ერთ-ერთ ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკასთან, რომელიც ჩვენზე მეტად სულსწრაფი აღმოჩნდა, ჩვენ, ყველაფერში პირველობის მოყვარულ ერს ზუსტად ერთი თვით დაგვასწრო და საბჭოთა კავშირის დაშლის იურიდიულ და ოფიციალურ გამოცხადებამდე 9 თვით ადრე, 1991 წლის 11 მარტს გამოაცხადა საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობა. ბევრისათვის, ალბათ, ცნობილია, რომ ეს რესპუბლიკა გახლავთ ლიტვა, რომელიც დღეს ევროკავშირისა და ნატოს წევრია და თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიოს სტანდარტებით ცხოვრობს. სხვათა შორის ხსენებული 1988 წლის რეიტინგის მიხედვით, რომელშიც, როგორც გაუწყეთ, საქართველო ლიდერობდა, ლიტვა მხოლოდ მე-7 ადგილზე გახლდათ. რა მოხდა? რით გვაჯობა სიბრძნითა და ჭკუა-გონებით თავგასიებულ ქართველებს უსახურმა ლიტვამ?

**საქმე ის გახლავთ, რომ ჭეშმარიტად გონიერი და ჭკუადალაგებული ხალხით დასახლებულ ლიტვაში ამ ხალხის ნება-სურვილით ეროვნულ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა გამოცდილი პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელი, გონიერი პიროვნება, რესპუბლიკის კომპარტიის მაშინდელი ლიდერი, ვიტაუტას ლანდსბერგისი, რომელმაც თავისი ცოდნით, გამოცდილებით, წინდახედულობითა და გამჭრიახობით, მიუხედავად საბჭოთა კავშირის მთელი ეკონომიკური ინფრასტრუქტურის მოშლისა და დანგრევისა, შეძლო, შეენარჩუნებინა და უფრო მეტიც, განევითარებინა თავისი ქვეყნის ეკონომიკა, პრაგმატული გონიერებით ბეწვის ხიდზე გაეტარებინა ახალბედა, ჩვენსავით თვითაღიარებული სახელმწიფო და მიუხედავად რუსეთის მხრიდან სერიოზული, გამუდმებული ზეწოლისა და ყოველმხრივი მავნებლობისა, საგრძნობი ექსცესების გარეშე ევროკავშირისა და ნატოს კარიბჭესთან მიეყვანა.**

ახლა კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რა მოხდა საქართველოში — ქართველმა ხალხმა უდრტვინველად, გულცივად გარიყა პიროვნება, რომელმაც 80-ანი წლების მეორე ნახევარში გორბაჩოვის „პერესტროიკით“ გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური ქაოსისა და პოლიტიკური არეულობის პერიოდშიც კი, შესძლო საქართველოს ტრანსფერი საკავშირო ბიუჯეტიდან ერთნახევარჯერ გაეზარდა, ხოლო საქართველო მოკავშირე რესპუბლიკათა შორის ლიდერი გაეხადა, რეალურად ერთადერთი პიროვნება იმდროინდელ საქართველოში, რომელსაც ჭეშმარიტად შესწევდა უნარი საქართველო სწორი გზით ეტარებინა, რომლისთვისაც წინამორბედისაგან განსხვავებით, მზე ჩრდილოეთიდან არ ამოდიოდა, და რომელიც გახდა ვერაგული შურისძიების მსხვერპლი, რადგან იმ დამსჯელ ოპერაციაში, რომელიც 1989 წლის 9 აპრილს განხორციელდა კრემლიდან მართული ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გენერლების მიერ, მას არავითარი ბრალი არ მიუძღვოდა. როდის ვისწავლით შავისა და თეთრის გარჩევას?!

**იქნებ ფიქრობთ, რომ ბატონი ჯუმბერ პატიაშვილი ჩემი მეგობარი ან ნათესავია, უნდა გაგაწბილოთ — მე მას პირადად არ ვიცნობ და ცხოვრებაში არც კი შევხვედრილვარ, მაგრამ, ბევრისგან განსხვავებით, ადამიანის პიროვნულ ღირსებებს მის მიერ გადადგმული ვაჟკაცური ნაბიჯებით, ნაკეთები საქმეებით და ამ საქმეების კეთილი შედეგებით ვაფასებ და არა მიტინგებზე მეგაფონსა და მიკროფონში ხმის ჩახლეჩვამდე უაზრო ყვირილით, ან გულუბრყვილო, გონებადაბინდული ხალხის ფსიქიკაზე გათვლილი ლამაზი ლოზუნგებით.**

**სწორედ იმიტომ გამოვთქვამ გულისტკივილს, რომ ერმა, რომელიც დიდ გენეტიკურ გონიერებასა და სიბრძნეზე აცხადებს პრეტენზიას, ასე დაუნანებლად, გაუაზრებლად და გულცივად გარიყა ეს ადამიანი, ჯერ „მიტინგოსნების“, „მეგაფონისტების“, „მიკროფონისტების“, „მედოლეების“, „ბარმენების“ და „პრარაბებისგან“ შემდგარ მანიაკალური ფანატიზმით ტვინარეულთ მიანდო თავისი ბედი და მომავალი, შემდეგ კანონიერ ქურდებს და თავის ერზე მოძალადე მკვლელებს გადაულოცა, შემდეგ სატანა და ერის ჯალათი ჩაიხუტა გულში, ბოლო, თითქმის ათი წლის განმავლობაში კი, ამ სატანის ნაშობ სისხლიან მონსტრს უკმევს გუნდრუკს.**

გულწრფელად ვიხდი ბოდიშს ჩემი, შესაძლოა, ზედმეტი ემოციურობისათვის, მაგრამ ვისაც ჩემი მისამართით მოეძალა რისხვა და ჯერ კიდევ ვერ ჩასწვდა ჩემეული ანალიზის ლოგიკურობას, ვთხოვ მაპატიოს და აზრიანი მოთმინებით წაიკითხოს რამდენიმე მომდევნო აბზაცი მაინც.

ბევრი დაიწერა და ითქვა პოსტსაბჭოთა პერიოდზე. თემა უდავოდ საინტერესო და ჭკუის სასწავლებელია. ამიტომ პოლიტიკოსებმა, ეკონომისტებმა, ექსპერტებმა საკმაოდ სერიოზული, ფუნდამენტური კვლევები მიუძღვნეს ამ პერიოდის შესწავლასა და ანალიზს. რასაკვირველია, არის საკმაოდ მიკერძოებული და ტენდენციური შეფასებებიც, რომლებიც ძირითადად რუს ავტორებს ეკუთვნით, მაგრამ იქვეა ინგლისელი, ამერიკელი, გერმანელი, ბალტიისპირელი, ყაზახი და ქართველი ექსპერტების საკმაოდ ობიექტური კვლევები, რომლებიც ძირითადი დასკვნების მიხედვით თითქმის იდენტურია და რომელთა მოძიება ელექტრონულ სივრცეში დაინტერესებულ პირთათვის სირთულეს არ წარმოადგენს.

როდესაც გულმოდგინედ ვეცნობოდი ამ მასალებს, ჩემი ინტერესების სფეროს, რასაკვირველია შეადგენდა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განვითარების კვლევა და ანალიზი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ გარდამავალ პერიოდში. **აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ორმა პოსტსაბჭოთა სახელმწიფომ: უკვე ხსენებულმა ლიტვამ და, არ გაგიკვირდეთ, თურქმენეთმა შეძლეს გაევლოთ ეს პერიოდი ეკონომიკური ვარდნის გარეშე, კიდევ ხუთმა სახელმწიფომ — ლატვიამ, ესტონეთმა, ყაზახეთმა, უზბეკეთმა და უკრაინამ შეძლეს, გადაელახათ ეს ურთულესი პერიოდი სერიოზული რყევების გარეშე, ეკონომიკის შედარებით უმნიშვნელო ვარდნით,** მაგრამ დღეისათვის მათი ეკონომიკა, გარდა უკრაინისა, სადაც ეკონომიკის აღდგენა თითქმის ხუთი წლის ვადით სააკაშვილის „ნათესავმა“ „ნარინჯიანებმა“ შეაფერხეს, საბჭოთა პერიოდის დონეს უკვე ასცილდა, ხოლო ორი მათგანი — ლატვია და ესტონეთი, როგორც ცნობილია, ლიტვის მსგავსად ევროკავშირის და ნატოს წევრები გახდნენ. შეიძლება გაგიკვირდეთ, სად ლიტვა — დღეისათვის ნამდვილი ევროპული სახელმწიფო და სად თურქმენეთი, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკებს შორის მუდმივად ბოლოში მიჩანჩალებდა. საჭირო არ არის გონების ნამეტნავად დაძაბვა, რომ აღმოვაჩინოთ, თუ რა აქვს საერთო ჩამოთვლილ ქვეყნებს. მე უკვე მესმის ბევრი თქვენგანის პასუხი და სავსებით სწორი ბრძანდებით — **შვიდივე ხსენებულ სახელმწიფოს, რომლებიც თავიანთი ისტორიით, ტრადიციებით და მენტალიტეტით აბსოლუტურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, აერთიანებთ ის, რომ, იმ რთულ და ქაოსურ პერიოდში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ეროვნულ მოძრაობას დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობისათვის, სათავეში ჩაუდგნენ მათი ყოფილი კომუნისტური ლიდერები, კომპარტიის ცეკას მდივნები, ან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეები,** (მაგალითად ესტონეთში).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 218

# აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს!



არავინ დავობს იმაზე, რომ საბჭოთა კავშირი და მისი მმართველი კომუნისტური პარტია ბევრი სიმახინჯის, უსამართლობისა და ბოროტების მატარებლები იყვნენ, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ **კომუნისტების მოგონილი შერჩევის, ტესტირებისა და თანამდებობრივი ზრდის პროცესზე დაკვირვების მეთოდოლოგიის წყალობით, მინიმალური გახლდათ უმაღლეს პარტიულ და სამეურნეო თანამდებობებზე** (ცეკას მდივნები, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეები და მინისტრები) **შემთხვევით პიროვნებათა მოხვედრის ალბათობა, რაც დღევანდელ უდიდეს ცივილიზებულ, დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი ვერ გამოირიცხა**. გაიხსენეთ, თუნდაც, ბილ კლინტონი, რომელიც თავის სექსუალურ მოთხოვნილებებს ლეგენდარულ „ოვალურ“ კაბინეტში იკმაყოფილებდა; ავანტიურისტი ბუშიუმცროსი, რომელმაც, ჯერ აყვავებული ერაყი უმიზეზოდ, უაზროდ დაანგრია და გაანადგურა, ხოლო შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკა დასცა ბეჭებზე და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ინიცირება მოახდინა; ან უდიდესი ცივილიზაციის მქონე ქვეყნის პრეზიდენტი სარკოზი, რომელმაც საფრანგეთი გარყვნილების ბუდედ, ევროპაში ოჯახურ ფასეულობათა ნგრევისა და რელიგიურ დაპირისპირებათა ეპიცენტრად აქცია; ან ექსცენტრული და სექსუალურად შეჭირვებული ბერლუსკონი, რომელმაც ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი ეკონომიკა ყუაზე დაიყვანა და იტალია ევროკავშირის კარზე მათხოვართა რიგში ჩააყენა.

**ენა რბილია და ადამიანს მის ტვინსა და არსებაში მორალური და ზნეობრივი მუხრუჭების არარსებობის შემთხვევაში ყველაფრის თქმის უფლებას და საშუალებას აძლევს, ხოლო თუ მის სულში ეშმაკი და სატანაა ჩაბუდებული და იმავდროულად ერის დამოძღვრისა და დამორჩილების ამბიცია აღრჩობს, რაც მეტად განათლებული, ნაკითხი და ფარისევლურად ტკბილმოუბარია ასეთი ადამიანი, მით მეტი უბედურებისა და განსაცდელის მოტანა შეუძლია ქვეყნისა და ხალხისათვის მის მჭერმეტყველებასა და პირმოთნეობას.**

ახლა დავუბრუნდეთ იმ ქვეყნებს, ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს, სადაც იმუშავა ფარას შემობრუნებისას, სათავეში კოჭლი ცხვრების მოქცევის პრინციპმა, პრაგმატულ განსჯა-ანალიზს ემოციებმა გადასძლია და „ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების“ ჰანგებზე ხელისუფლებაში ამბიციებით გაბერილი, თვალ და გონებადაბინდული, უვიცი „ეროვნულ-დამანგრეველი“ ფანატიკოსები მოვიდნენ. ეს გახლავთ რვა უბედური სახელმწიფო რუსეთის თამადობით, რომელთაგან ერთის გამოკლებით დღემდე ყველა უბედურად რჩება, და რამდენადაც გულსატკენი არ უნდა იყოს ჩვენთვის, ერთ-ერთი და ამავდროულად, თითქმის ყველაზე დათრგუნული, გაუბედურებული და გაფარჩაკებული მათ შორის საქართველოა. ის ერთი გამონაკლისი, რომელიც ვახსენე, ალბათ მიხვდით, აზერბაიჯანი გახლავთ, რომელმაც ჯერ პრეზიდენტის აიაზ მუტალიბოვის, ხოლო შემდგომ, 1992 წლის გაზაფხულიდან აზერბაიჯანის „ეროვნული ფრონტის“ ლიდერის, ენათმეცნიერის (რა შუაშია პოლიტიკა?!) აბულფაზ ელჩიბეის ერთობლივი მეცადინეობით, პროცენტულად თითქმის იმდენივე ტერიტორია დაკარგა, რამდენიც საქართველომ გამსახურდიას, შევარდნაძისა და სააკაშვილის ერთობლივი ძალისხმევით, მაგრამ, როგორც მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ დაადასტურა, ჩვენზე გაცილებით გონიერმა და წინდახედულმა აზერბაიჯანელმა ხალხმა თავის მიერ დაშვებული შეცდომა თვითონვე გამოასწორა და მიუხედავად იმისა, რომ ტვინგახურებულმა მუტალიბოვმა ქვეყნის პრეზიდენტობაზე, კონსტიტუციაში, ჯერ კიდევ 1991 წლის ბოლოს ასაკობრივი ცენზი დააწესა, მუტალიბოვის ე.წ. „კონსტიტუცია“ ფეხებზე დაიკიდა, ასაკის ცენზგადაცილებული ბრძენკაცი, ჩვენი ღვთისპირიდან გადავარდნილი ჩეკისტისგან განსხვავებით, თავისი ქვეყნისა და ხალხის პატრიოტი, ასევე ყოფილი კომუნისტური ლიდერი გეიდარ ალიევი 1993 წლის 15 ივნისს მეჯლისის სპიკერად აირჩია, ხოლო შემდეგ, იმავე წლის ოქტომბერში, ერისა და ქვეყნის ხსნის იმედით, დიდი სიყვარულითა და მოწიწებით, ხელში აყვანილი, ციმციმ დასვა აზერბაიჯანის პრეზიდენტის ტახტზე. რა მოხდა შემდგომში, უკვე ყველასთვის ცნობილია, აღვნიშნავ მხოლოდ ერთს — ეროვნული შემოსავლის წილი ერთ სულ მოსახლეზე 1993 წლის ბოლოს, მონაცემებით საქართველოსა და აზერბაიჯანში თითქმის ერთნაირი იყო (275 და 284 ამერიკული დოლარი შესაბამისად), ხოლო დღეს იგივე კომპონენტით აზერბაიჯანის მაჩვენებელი საქართველოსას ხუთნახევარჯერ აღემატება.

**ყოველივე ზემოთ თქმულით სოციალიზმისა და კომუნისტური ლიდერების პროპაგანდას კი არ ვეწევი, არამედ მინდა, რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით, ყველამ, დავინახოთ და გავაცნობიეროთ, თუ რა შედეგები შეიძლება მოიტანოს ქვეყნისათვის დინჯი, ძუნწადმოსაუბრე, დაფიქრებული და რეალურად საქმისმკეთებელი პიროვნების უგულებელყოფამ და მყვირალა, ხალხის გაჭირვებასა და ემოციებზე აგებული სპეკულაციური, ვაიპატრიოტული პოლიტიკის მხარდაჭერამ.**

**ახლა ვეკითხები მე საქართველოს პატივცემული საზოგადოების იმ ნაწილს, კარგის და ცუდის, თეთრისა და შავის გარჩევა დღემდე რომ ვერ უსწავლია: რა მოხდებოდა, რომ გამოგვეჩინა გონიერება და უკან მოგვებრუნებინა აბსოლუტურად უდანაშაულო, მაგრამ თავისი სინდისიერების და მაღალი მორალის გამო 1991 წლის 14 აპრილს ნებაყოფლობით თანამდებობიდან გადამდგარი ერისკაცი და შეგვენარჩუნებინა ერისა და ქვეყნის წინამძღოლად იმ არეულ დროში?**

ვიმედოვნებ, რომ დღევანდელ საქართველოშიც კი საკმაოდ ბევრს აქვს ლოგიკური პასუხი ამ, პრაქტიკულად რიტორიკულ შეკითხვაზე. ხოლო მათთვის, ვისაც კითხვაზე პასუხი ვერ გაუცია, ამ პასუხს გავახმოვანებ:

**იოტის ოდენა ეჭვიც კი არ არსებობს: ბატონი ჯუმბერ პატიაშვილისათვის რომ მიენდო, ქართველ ერს ექსცესების გარეშე მიეყვანა ქვეყანა საბჭოთა კავშირის დაშლამდე (1991 წლის 26 დეკემბერი), ხოლო შემდგომ სათავეში ჩასდგომოდა საქართველოს დე ფაქტო და დე იურე დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ჩვენს ქვეყანაში, ხელისუფლების მხრიდან, ვერ გაიჭაჭანებდა ქვეყნის დამანგრეველი ნაცისტური ლოზუნგები, თავიდან ავიცილებდით უაზრო დაპირისპირებებს, ნგრევებს, სისხლისღვრასა და ძმათამკვლელ ომებს; არ მოხდებოდა ბრაზიანი დათვის (რუსეთის) მუდმივი პროვოცირება, ერთი მისხალი არ დააკლდებოდა, თუ არ მოემატებოდა ბატონი ჯუმბერის მმართველობის პერიოდში აღზევებულ და განმტკიცებულ საქართველოს ეკონომიკას და დღეს, ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკათა შორის ეკონომიურად ყველაზე ძლიერი, ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან ჩახუტებული, არა საშოვრის ძებნაზე გადაგებული და გაჭირვების გამო მსოფლიოში მიმობნეული, არამედ შეკრული, ერთიანი, ექვსმილიონიანი მოსახლეობით საქართველო იქნებოდა მსოფლიო თანამეგობრობისაგან ღირსეულად ფასდებული, ევროკავშირისა და ნატოს წევრი ქვეყანა. ეჭვი არ მეპარება, უფრო ავტორიტეტული და წინმდგომი, ვიდრე ბალტიისპირეთის ქვეყნები, რადგანაც საქართველოს იმ პერიოდში თითქმის ყველა ნიშნის მიხედვით გაცილებით უკეთესი სასტარტო მაჩვენებლები ჰქონდა, ვიდრე ბალტიისპირეთის სამივე ქვეყანას ერთად აღებულს.**

მათ, ვინც შეეცდება დამიმტკიცოს, რომ ზვიად გამსახურდია მეტი პატრიოტი და მამულიშვილი იყო, ვიდრე ჯუმბერ პატიაშვილი, ან ისხარტოს „გონებამახვილური“ მოსაზრებით, რომ ბატონი ჯუმბერი კომუნისტური გზით წაიყვანდა საქართველოს, როგორც ერთი-ორი „დაუნისგან“ მომისმენია, შევახსენებ, რომ მცხეთის რაიონში მდებარე სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავთავი“, რომელსაც თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ ჩაუდგა სათავეში ჯუმბერ პატიაშვილი, 1991-1992 წლებში გახლდათ თითქმის ერთადერთი ცოცხალი უჯრედი და ნამდვილი ოაზისი გამსახურდიას გუნდის „ბრძნული მმართველობის“ პერიოდში დაჯიჯგნილ და დასისხლიანებულ საქართველოს სხეულზე, სადაც მიუხედავად ათასი უბედურებისა, რაც გარშემო ხდებოდა, ქვეყნის ნათელი მომავლის იმედით, ერთი დღითაც არ შეწყვეტილა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები და, ამ მუშაობის სასიკეთო შედეგები საქართველომ მხოლოდ ოცი წლის შემდეგ, წლეულს მოიმკო ქვემო ქართლის რეგიონში, როდესაც ქვეყნის ხელისუფლებაში ეკონომიკის, და მათ შორის სოფლის მეურნეობის, რეალურ აღორძინებაზე ორიენტირებული გუნდი მოვიდა.

რაც შეეხება გამსახურდიას მამულიშვილობას, მიუხედავად დიდი ცდუნებისა, მინდა ბოლომდე ვთქვა სათქმელი და დავხატო ამპარტავან და დიდკაცა კონსტანტინეს მიერ გამოძერწილი მისი ფსიქოლოგიური პორტრეტი, რომელიც ჩემთვის ზედმიწევნით ხელშესახებია, ამისგან ამჯერად თავს შევიკავებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ ნებისმიერი პიროვნების სიდიდე და მისი სულის სიდიადე უბრალო მოკვდავთათვის მხოლოდ მისი ნამოქმედარით და ამ ნამოქმედარის შედეგით იზომება, რამეთუ, თუ რა ეშმაკი, ან ანგელოზი უზის მას სულსა და სხეულში, მხოლოდ მაღალმა ღმერთმა უწყის!

მე უკვე მესმის ზოგ-ზოგების მუნათი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გავჯიუტდები იმის მტკიცებაზე, რომ ქართველმა ხალხმა 1989 წლის 14 აპრილს დაუშვა საბედისწერო შეცდომა და ისტორიული შანსი გაუშვა ხელიდან, ხოლო ზუსტად ორი წლის შემდეგ თავის დასაკლავ დანას წამოავლო ხელი, რისთვისაც მაღალმა ღმერთმა დაგვსაჯა და უამრავი განსაცდელი გვარგუნა - 1991 წლის მაისის დამანგრეველი მიწისძვრიდან დაწყებული, ერის და ქვეყნის მორალური და მატერიალური გაჩანაგებით დამთავრებული.

გვქონდა ქართველებს კიდევ ერთი შანსი, წალმა მოგვებრუნებინა ისტორიის ბორბალი, როცა 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა გონს მოეგო და ჯუმბერ პატიაშვილს დაუჭირა მხარი, მაგრამ ჩვენ ვერ შევძელით ჩვენი ხმების დაცვა და შენარჩუნება. შევარდნაძისა და მისი დამქაშების მიერ არჩევნების შედეგების ტოტალურმა გაყალბებამ კვლავ ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

**გამოთქმა „ ღმერთი სამობითააო“ ჩვენში იმედოვნების სინონიმია და კეთილი მომავლის რწმენით ვევედრები მაღალ ღმერთს, გვაკმაროს ქართული სულის სიმტკიცის ოცდახუთწლიანი გამოცდა, შეგვინდოს და გვაპატიოს ამ წლებში ჩადენილი უამრავი უგუნურება, კვლავ წყალობით გადმოხედოს ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას, ჩვენი ერის სულიერი მამის, მოარული წმინდანის ცრემლიანი ლოცვა-კურთხევით დაგვიბრუნოს ჩვეული სიბრძნე, გონიერება, სიყვარული და პატივისცემა, განსჯის, მოთმინების, შრომისა და სიკეთის ქმნის უნარი, რათა შევძლოთ, განვამტკიცოთ და განვავითაროთ 2012 წლის 1 ოქტომბრის მონაპოვარი, გონივრულად გამოვიყენოთ ღმერთისგან ბოძებული და ბატონი ბიძინა ივანიშვილის მეცადინეობით მოპოვებული კიდევ ერთი ისტორიული შანსი.**

* * *

ამ მომენტამდე ჩემი თხრობის ძირითადი ნაწილი ფაქტების კონსტატაციას და მათ ანალიზს დავუთმე. ამჯერად კი საზოგადოების ჯერ კიდევ ბუნდოვნებასა და გაურკვევლობაში მყოფ იმ ნაწილს, რომელსაც აზროვნების, განსჯის, ანალიზისა და სწორი დასკვნების გამოტანის უნარი შერჩენია, ვთხოვ, მომიტევოს სისუსტისათვის — არდამოძღვრის პირობის დარღვევისათვის და გულისყურით გადაიკითხოს უდავო ჭეშმარიტების ჩემეული ფორმულა:

— ენა რბილია და ადამიანს მის ტვინსა და არსებაში მორალური და ზნეობრივი მუხრუჭების არარსებობის შემთხვევაში ყველაფრის თქმის უფლებას და საშუალებას აძლევს, ხოლო თუ მის სულში ეშმაკი და სატანაა ჩაბუდებული და იმავდროულად ერის დამოძღვრისა და დამორჩილების ამბიცია აღრჩობს, რაც მეტად განათლებული, ნაკითხი და ფარისევლურად ტკბილმოუბარია ასეთი ადამიანი, მით მეტი უბედურებისა და განსაცდელის მოტანა შეუძლია ქვეყნისა და ხალხისათვის მის მჭერმეტყველებასა და პირმოთნეობას (იხილეთ მიხეილ სააკაშვილი, დავით ბაქრაძე, ნინო ბურჯანაძე და მათი სულიერი და-ძმები).

**კეთილი საქმის კეთებას ლაპარაკი არ სჭირდება, სიკეთის კეთებას ჭეშმარიტი სიყვარული სჭირდება, მოყვასის, ერის, ქვეყნის, მშობლიური მიწა-წყლის სიყვარული. კიდევ სჭირდება თავდადებული, პატიოსანი შრომა, ადამიანებზე ზრუნვა-რუდუნება და რწმენა იმისა, რომ კეთილ საქმეს დამნახავი დაინახავს, გამგები გაიგებს; ხოლო, თუ კეთილის შემოქმედს ვერ შეიცნობს და მოვლენილს ღვთის წყალობად ჩათვლის, კიდევ უკეთესი, რადგან ჭეშმარიტი მოკეთის უანგარო მიზანი ზუსტად ის გახლავთ, რომ ადამიანი ღმერთის სიყვარულითა და სამართლიანობის ნდობით აღჭურვოს, გააკეთილშობილოს, მასში სხვების მიმართაც სიკეთის კეთების სურვილი გააღვიძოს, გააძლიეროს, ხალხად აქციოს და ასე გაამრავლოს სიკეთე და სიყვარული მთელს ქვეყანაზე.**

კეთილი საქმის კეთებას ლაპარაკი არ სჭირდება, სიკეთის კეთებას ჭეშმარიტი სიყვარული სჭირდება, მოყვასის, ერის, ქვეყნის, მშობლიური მიწა-წყლის სიყვარული. კიდევ სჭირდება თავდადებული, პატიოსანი შრომა, ადამიანებზე ზრუნვა-რუდუნება და რწმენა იმისა, რომ კეთილ საქმეს დამნახავი დაინახავს, გამგები გაიგებს; ხოლო, თუ კეთილის შემოქმედს ვერ შეიცნობს და მოვლენილს ღვთის წყალობად ჩათვლის, კიდევ უკეთესი, რადგან ჭეშმარიტი მოკეთის უანგარო მიზანი ზუსტად ის გახლავთ, რომ ადამიანი ღმერთის სიყვარულითა და სამართლიანობის ნდობით აღჭურვოს, გააკეთილშობილოს, მასში სხვების მიმართაც სიკეთის კეთების სურვილი გააღვიძოს, გააძლიეროს, ხალხად აქციოს და ასე გაამრავლოს სიკეთე და სიყვარული მთელს ქვეყანაზე (იხილეთ ბიძინა ივანიშვილი და მისი სულიერი და-ძმები).

როგორც, ალბათ მიხვდით, ცხოვრების ავკარგის შეფასების ჩემეული კრიტერიუმი და, თუ გნებავთ, ჩემი ცხოვრებისეული მრწამსი ამ ორ პატარა აბზაცშია თავმოყრილი, რომელთაგან პირველი თავის თავში იტევს ყველა ამქვეყნიურ ბოროტებასა და სიბნელეს თავისი, სამწუხაროდ, მრავალრიცხოვანი პერსონაჟებით, ხოლო მეორე — ჭეშმარიტ სიკეთეს, სინათლეს და იმ ღვთისნიერ ადამიანებს, რომლებიც კეთილი საქმეების კეთების ნიჭით არიან ღვთისგან ხელდასხმულნი.

საქართველოს რაიონებიდან ჩამორეკილ თავის ახალგაზრდა „სულიერ მეგობრებთან“ შეხვედრაზე, რომელიც მისი თანაავტორობით “რიყეზე“ მშენებარე “ხელთუქმნელ არქიტექტურულ კომპლექსში“ გაიმართა, სააკაშვილმა დიდი ვაჟა-ფშაველას კონტექსტიდან ამოგლეჯილი აზრები თავისებურად „გააფორმა“ და განაცხადა, რომ „ოცნება ადამიანს ტვინს ულაყებს“. ძნელია, არ დაეთანხმო „ბრძენ“ სააკაშვილს, მაგრამ ადამიანს გააჩნია...

ადამიანთა იმ კატეგორიას, რომელთაც სულში უწმინდური საწყისი უზით და არასრულფასოვნების სენი სჭირთ, ოცნება ტვინს კი არ ულაყებს, უარესს უშვრება — რეალობის შეგრძნებას აკარგვინებს და შეუბრალებელ მონსტრადაც კი აქცევს, რამეთუ ბავშვობისა და ყრმობის პერიოდში მათ გულსა და არსებაში დაგროვილი და ჩაბუდებული ბოლმიდან მომდინარე „ავადმყოფური ფანტაზიები“, რაც სააკაშვილისათვის ასე მშობლიურია და, რასაც თავისი ვიწრო გაგებით ოცნებას უწოდებს, პირველი შესაძლებლობისთანავე შურისძიებად რეალიზდება, ხოლო ის მოჩვენებითი კეთილშობილების, სიმამაცისა და სოლიდურობის ნიღაბი, რომლითაც მისი მსგავსი პიროვნებები მუდმივად საზოგადოების მოტყუებას ცდილობენ, პირველივე ექსტრემალურ სიტუაციაში ეხდებათ და თავიანთ ნამდვილ სახეს ამზეურებენ.

გაიხსენეთ სააკაშვილის სისასტიკეები, დამსჯელი ოპერაციებით ტკბობა, ყრმობისას დაუკმაყოფილებელი აღვირახსნილი ლტოლვა სუსტი სქესისადმი, ჰალსტუხის პარანოიკული ღეჭვა, შიშისაგან აცახცახებული, დუჟმორეული ფორთხვა მიწაზე; ან ბაქრაძის ტრაგიკომიკური მოწოდება დანა-ჩანგლებით შეიარაღების თაობაზე; ან მოულოდნელად მოვარდნილი ძალაუფლებით აღტკინებული ადეიშვილის ზეიმი, რომელიც მხოლოდ მისი ავადმყოფური ფსიქოლოგიისათვის გასაგები შურისძიებით მოქმედებდა, როცა თავის თანაკურსელებს მუსრი გაავლო და ექვსი უდანაშაულო ადამიანი გამოგონილი ბრალდებებით საპყრობილეში ჩაყარა.

ვაი ჩვენი ბრალი და აფერუმ ჩვენს ვაჟკაცობას, ქართველებო! რამხელა სირცხვილს და თავის მოჭრას გავუძელით თითქმის ათი წელიწადი.

**გიორგი მოდებაძე,**
**პროფესიონალი არქიტექტორი და მოყვარული ჟურნალისტი.**

**(გაგრძელება იქნება)**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ფრანგი ადვოკატები დავით კეზერაშვილის დაცვაზე უარს აცხადებენ

**საფრანგეთში საქართველოს ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელების ვიზიტები უკანასკნელ დღეებში შეიძლება დაკავშირებული იყოს ამ ქვეყანაში ოქტომბრის შუა პერიოდში ყოფილი თავდაცვის მინისტრის დავით კეზერაშვილის სკანდალურ დაკავებასთან, რომელსაც, საქართველოს გარდა, აქვს ისრაელის მოქალაქეობაც. სამხედრო უწყების ამჟამინდელი ხელმძღვანელის ირაკლი ალასანიას შემდეგ პარიზში გაემგზავრა შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, რომელიც საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობას დაიკავებს ნოემბრის ბოლოს. თბილისის გაზეთი „ალია“, საქმეში ჩახედული წყაროებზე მითითებით, 12 ნოემბერს იუწყებოდა, რომ კეზერაშვილის საქმით დაინტერესებულია ერთბაშად რამდენიმე სახელმწიფო მის შესაძლო მონაწილეობასთან დაკავშირებით იარაღის უკანონო ვაჭრობაში. სწორედ ამიტომ, იტყობინებოდა გამოცემა, სახელგანთქმული ფრანგი ადვოკატები არ აპირებენ მის დაცვას.**

ოფიციალური პირები თბილისში ჯერჯერობით თავს იკავებენ დეტალური კომენტარებისგან. **ალასანია შემოიფარგლა შენიშვნით, რომ „მოისმინა შესაძლო კონტაქტების შესახებ კეზერაშვილისა და მეწარმე ვიქტორ ბუტისა, რომელსაც შარშან ამერიკის შეერთებულ შტატებში იარაღის უკანონო ვაჭრობისთვის 25 წლის პატიმრობა მიუსაჯეს“. არაფერი უფრო ზუსტი თავდაცვის მინისტრს ამასთან დაკავშირებით არ უთქვამს. ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ ალასანიამ თავისი უწყების შინაგან ინსპექციიებს დაავალა, შეამოწმონ სამხედრო შესყიდვების საკითხი, რომლებიც არსებობდა კეზერაშვილის დროს. მაგრამ ჯერჯერობით ამ მონაცემებთან დაკავშირებით საჯარო ინფორმაცია არ არსებობს.**



**საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის კვლევის ინსტიტუტის დირექტორმა, ნატოს ეგიდით მოქმედი საერთაშორისო სამუშაო ჯგუფის ექსპერტმა ვახტანგ მაისაიამ ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ „დიდი ხანია სთავაზობდა, დაინტერესებულიყვნენ კეზერაშვილის ბუნტთან და იარაღის სხვა მოვაჭრეებთან შესაძლო კავშირურთიერთობებით“.**

მაისაიას მიაჩნია, რომ კეზერაშვილის გვარი შეიძლება წამოტივტივებულიყო მოსმენებთან დაკავშირებით საჯაშუშო სკანდალების სერიაში. ექსპერტმა შეგვახსენა, რომ ჯერ კიდევ შარშან ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი იხსენებდა საქართველოს, როგორც ქვეყანას, რომელიც შეიძლება მონაწილე იყოს იარაღის უკანონო ბრუნვაში.

მისი სიტყვებით, აღსანიშნავია, რომ კეზერაშვილი საფრანგეთში გირაოთი არ გაათავისუფლეს.

**— ეს ადასტურებს, რომ მის წინააღმდეგ არსებობს სერიოზული მასალები,** — ამბობს ანალიტიკოსი.

**საქართველოს პროკურატურამ გაუგზავნა ფრანგ კოლეგებს დოკუმენტები კეზერაშვილის ექსტრადიციაზე, მაგრამ საკითხი შეეხება ქვეყნის შიგნით წარდგენილ ბრალდებებს. მიმდინარე წლის იანვარში მის წინააღმდეგ თბილისში აღძრეს სისხლის სამართლის საქმე ქრთამის აღების საქმესთან დაკავშირებით 12 მილიონი დოლარის ოდენობით იმ პერიოდისთვის, როდესაც იგი ჯერ კიდევ ხელმძღვანელობდა საფინანსო პოლიციას და თითქოს მფარველობდა კრიმინალურ ჯგუფს, რომელიც აწარმოებდა ყალბი ალკოჰოლური სასმელების ექსპორტს. ამას გარდა, იკვლევენ ეპიზოდს, რომელშიც კეზერაშვილთან ერთად მოიხსენიება თბილისის ამჟამინდელი მერი გიორგი უგულავა...**

საქართველოს სტრატეგიული მართვის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა პეტრე მამრაძემ, რომელიც 13 წლის განმავლობაში ყოფილი და ამჟამინდელი პრეზიდენტის დროს სათავეში ედგა სახელმწიფოს მეთაურის კანცელარიასა და მთავრობის აპარატს, ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ „პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი არ შეიძლებოდა, არ ყოფილიყო კეზერაშვილის მიერ განხორციელებული გარიგებების კურსში“.

**— კეზერაშვილი სააკაშვილის განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდა, იყო მისი პირადი კადრი,** — ამბობს იგი.

თავდაცვის ექსმინისტრს პრეზიდენტის პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მოლარეს უწოდებდნენ.

ИЗВЕСТИЯ

# საქართველოს პრეზიდენტი და ოლიმპიადა სოჭში

## თბილისი აცხადებს, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მდგომარეობაზე იქნება დამოკიდებული – ჩავა თუ არა საქართველოს პრეზიდენტი ზამთრის ოლიმპიადაზე

**მიუხედავად იმისა, რომ მაისში საქართველომ მიიღო გადაწყვეტილება, მონაწილეობა მიიღოს სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში, თბილისში ჯერჯერობით არ გადაუწყვეტიათ: ჩავა თუ არა საქართველოს ახლადარჩეული პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ოლიმპიადაზე.** როგორც ჟურნალისტებს საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილმა განუცხადა, ეს დამოკიდებული იქნება იმ მომენტისთვის, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა მდგომარეობაზე.

**„ჯერჯერობით კონსულტაციები მარგველაშვილთან დაკავშირებით არ ყოფილა, მაგრამ მაისში საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ქვეყნის მონაწილეობის შესახებ სოჭის ოლიმპიურ თამაშებში, ეს საკითხში მაშინაც იდგა. პოლიტიკური ხელმძღვანელების მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იქნება ოლიმპიადის მოახლოებასთან დაკავშირებით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა მდგომარეობის შესაბამისად“,** — განაცხადა ზაქარეიშვილმა 12 ნოემბერს.

თავად გიორგი მარგველაშვილმა, ვისი ინაუგურაციაც 17 ნოემბერს გაიმართება, ადრე ანალოგიური განცხადება გააკეთა.

**აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც რუსეთთან დაწყებული დიალოგის ფონზე საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ გადასინჯა პრეზიდენტ სააკაშვილის მთავრობის გადაწყვეტილება სოჭის ოლიმპიადისთვის ბოიკოტის გამოცხადების შესახებ, ზოგიერთმა მოქმედებამ რუსეთის მხრიდან გამოიწვია ეჭვი საქართველოს საზოგადოებრიობაში იმასთან დაკავშირებით, რამდენად სწორი იყო ეს გადაწყვეტილება. პროტესტის ტალღა გაიზარდა რუსეთის მესაზღვრეების მიერ ცხინვალის რეგიონში საოკუპაციო მავთულხლართების საქართველოს სიღრმისკენ გადმოტანამ. საზოგადოებრიობის აღშფოთება განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ოლიმპიადის მეჩირაღდნე გახდა მფრინავი ივან ნეჩაევი, რომელიც 2008 წელს მონაწილეობდა ომში საქართველოს წინააღმდეგ და გახდა „რუსეთის ფედერაციის გმირი“.**

**დღეისთვის დაახლოებით 28 ათასმა კაცმა საქართველოში ხელი მოაწერა პეტიციას ხელისუფლებისადმი მოწოდებაზე — გამოუცხადონ ბოიკოტი სოჭის ოლიმპიადას.**

როდესაც კომენტარს უკეთებდა საზოგადოებრიობის პროტესტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, რომ „გაგებით“ ეკიდება „საზოგადოების წევრების უმრავლესობის“ პოზიციას. ამავე დროს ივანიშვილმა განაცხადა, რომ სახელმწიფო „არ უნდა იყოს იმპულსური“ და აუცილებელია, მიიღო „დაბალანსებული გადაწყვეტილება“. ამავე დროს, პრემიერმა დაუშვა იმის შესაძლებლობა, რომ საქართველომ, საბოლოოდ, შეიძლება ბოიკოტი გამოუცხადოს სოჭის ოლიმპიადას.

**„ჩვენ უნდა შევხედოთ, თუ როგორ განვითარდება მოვლენები. და თუ ოლიმპიადის დაწყების წინ გვექნება იმის შეგრძნება, რომ მასში მონაწილეობა ჩვენთვის იქნება დამამცირებელი, რასაკვირველია, ჩვენ მასში მონაწილეობას არ მივიღებთ“,** — თქვა ივანიშვილმა ოქტომბერში.

### რუსეთის კომენტარი

**თავის მხრივ, რუსეთი გვპირდება, მიიღოს სტუმრები და სპორტსმენები საქართველოდან „პატივისცემით“.**

**„მინდა დავადასტურო, რომ, მიუხედავად საქართველოს მცდელობისა, გაშალოს პოლიტიკური ბატალიები სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით, ქართველი სპორტსმენები და გულშემატკივრები მიღებული იქნებიან სოჭში იმ პატივისცემით, რასაც ისინი იმსახურებენ“,** — განაცხადა 7 ნოემბერს რუსეთის ფედერაციის მუდმივმა წარმომადგენელმა გაეროში ვიტალი ჩურკინმა გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე.

### „მნიშვნელოვანი რეგიონისთვის“

**ამერიკის შეერთებული შტატები მნიშვნელოვანს უწოდებს საქართველოს მონაწილეობას სოჭის ოლიმპიადაში მიუხედავად იმისა, რომ „ესმის“ იმის მიზეზებიც, თუ რატომ აღიქვამს „მტკივნეულად“ საქართველოს საზოგადოებრიობა ამ საკითხს.**

**„მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მიერ ოკუპირებულია საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი, საქართველო ცდილობს, გადადგას კონსტრუქციული ნაბიჯები რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებისთვის. ეს მეტად მნიშვნელოვანია რეგიონის უსაფრთხოებისთვის... ჩვენ გვესმის, თუ რატომაა მტკივნეული ოლიმპიადაში მონაწილეობა ქართველი ხალხისთვის, მაგრამ ეს კონსტრუქციული ნაბიჯი გადაიდგა რეგიონული უშიშროების ინტერესებისთვის“,** — განუცხადა საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს 11 ნოემბერს საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა.

### „რაციონალურ ფარგლებში“

**საქართველოს ახლადარჩეული პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, თავის მხრივ, მიიჩნევს, რომ პოლიტიკამ ხელი არ უნდა შეუშალოს ურთიერთობებს ხალხებს შორის.**

**„როდესაც პოლიტიკოსები ხელს არ შეუშლიან ხალხებს, კეთილი ნების ადამიანებს, როდესაც ჩვენ, როგორც პოლიტიკოსები, შევძლებთ, შევქმნათ ფონი, სადაც ბიზნესი, კულტურული ურთიერთობანი, ნათესავური, ემოციური კავშირები მოგვცემენ თავის ნაყოფს, მე ვფიქრობ, სწორედ ამით უნდა დავიწყოთ“,** — განაცხადა მან, როდესაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე საუბრობდა რუსეთის პირველი არხისთვის მიცემულ ინტერვიუში.

**„ჩვენ გადავდგით პირველი ნაბიჯი დაძაბულობის შენელების ასპექტით... ჩვენ ვთქვით, რომ რუსეთი, მიუხედავად იმ პრობლემისა, რომლებიც არსებობდნენ, არ არის საქართველოსთვის, ასე ვთქვათ, ჩვენი აგრესიისთვის ობიექტი. ჩვენ ვახდენდით დეკლარირებას, რომ შევეცდებით, გადავიტანოთ ჩვენი დიალოგი აგრესიული ურთიერთობიდან რაციონალურ ფარგლებში. და ჩვენ გადავდგით შესაბამისი ნაბიჯები“,** — აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა და განმარტა, რომ სწორედ ოლიმპიური თამაშები არის კარგი დასაწყისი პოლიტიკური დაძაბულობის განმუხტვისთვის.

რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის სურვილის პარალელურად მარგველაშვილმა ხაზი გაუსვა საქართველოს მისწრაფებასაც ინტეგრაციისკენ დასავლურ სტრუქტურებში. მისი სიტყვებით, ეს ასევე შედის რუსეთის ინტერესებშიც.

### „მაუნტ უიტნის“ ვიზიტი

**ამ დროს, 11 ნოემბერს, ხუთი წლის ინტერვალით, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების მე-6 ფლოტის ფლაგმანით, ბათუმის პორტში გეგმიური ვიზიტით საქართველოს სანაპირო დაცვასთან ერთად ერთობლივი სწავლების ჩასატარებლად ჩამოვიდა „მაუნტ უიტნი“.**

**„ვიზიტის მიზანია, ამერიკის შეერთებული შტატების მე-6 ფლოტის ძალისხმევის გაგრძელება, რაც მიზნად ისახავს პარტნიორული ურთიერთობის დამყარებას შავი ზღვის ქვეყნებთან, აგრეთვე საზღვაო დაცვისა და უშიშროების გაუმჯობესებას“,** — ნათქვამია საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს 10 ნოემბრის განცხადებაში.

აღსანიშნავია, რომ ეს ხომალდი 2008 წლის 5 სექტემბერს, რუსეთ-საქართველოს ომის დამთავრებიდან ერთ თვეზე ნაკლები პერიოდის შემდეგ, შევიდა ფოთის ნავსადგურში. ვიზიტის მიზანი იყო საქართველოში ჰუმანიტარული დახმარების ჩამოტანა. მიუხედავად ამისა, მოგვიანებით, 2013 წლის აგვისტოში, როდესაც იხსენებდა რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებულ მოვლენებს, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც რუსეთის ფედერაციამ დაიწყო სამხედრო ინტერვენცია, საქართველო შეერთებულმა შტატებმა „გადაარჩინა“. კერძოდ, იმან, რომ საქართველოს ჯარებმა შეძლეს, თავისი წინააღმდეგობით შეეჩერებინათ რუსეთის სამხედროების წინსვლა, ქართველი ლიდერის აზრით, საშუალება მისცა „მოეგოთ დრო“ და მომხდარ ამბებში ჩაერთოთ საერთაშორისო გაერთიანება.

**ასევე, სააკაშვილის სიტყვებით, შეერთებული შტატების მიერ საქართველოში სამხედრო ხომალდის გაგზავნა გახდა „სიგნალი“ რუსეთისთვის.**

Voice of America

## დედამიწის ზურგზე



**პუტინმა მოილაპარაკა სეულთან ვიზების გაუქმების შესახებ და ორივე კორეას მოუწოდა თანამშრომლობისკენ რუსეთის ფედერაციასთან**

**როდესაც კომენტარს უკეთებდა პაკ კინ ხესთან შეხვედრის შედეგებს, პრეზიდენტმა ხელიდან არ გაუშვა შესაძლებლობა, რათა შეეხსენებინა თავისი სამშვიდობო მისია, რაზეც მიუთითებდა სამხრეთი კორეის ჟურნალისტებთან ინტერვიუში. რუსეთის ფედერაცია გამოდის ექვსმხრივი მოლაპარაკების სასწრაფო განახლების შესახებ კორეის ნახევარკუნძულზე სიტუაციასთან დაკავშირებით, განაცხადა პუტინმა.**

* * *

**იანუკოვიჩს შესთავაზეს, ერთი წლით გადადოს შეთანხმება ევროკავშირთან. ამზადებენ ალიბის ჩაშლის შემთხვევისთვის, ეჭვობს ექსპერტი**



**წინადადება გაახმაურეს პრეზიდენტის დახურულ შეხვედრაზე მრეწველებთან და მეწარმეებთან. უმაღლეს რადაში ირწმუნებიან, რომ კურსი ევროინტეგრაციაზე დღის წესრიგიდან არ იხსნება. მოფიქრებისთვის დრო პრაქტიკულად არც არის: უკვე ოთხშაბათს ევროპარლამენტის მისია წარმოადგენს ანგარიშს, რომელზეც იქნება დამოკიდებული გადაწყვეტილების მიღება ვილნიუსის სამიტზე ნოემბრის ბოლოს.**

* * *

**ისრაელმა შეაჩერა მდინარე იორდანის დასავლეთ სანაპიროზე და აღმოსავლეთ იერუსალიმში 24 ათასი სახლის მშენებლობა**



**ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ დაგმო მშენებლობის მინისტრი ური არიელი ტენდერის გამოქვეყნების გამო ახალი მშენებლობის პროექტირებაზე „ყოველგვარი წინასწარი კოორდინაციის გარეშე“. მთავრობის მეთაურმა განკარგულებას მშენებლობის შესახებ უწოდა „უაზრო ნაბიჯი იურიდიული და პრაქტიკული თვალსაზრისით“.**

* * *

**რუსეთმა გაეროში წარადგინა რეზოლუციის პროექტი ნაციზმის ჰეროიზაციის დაუშვებლობის შესახებ**

**დოკუმენტის თანაავტორი გახდა თითქმის 40 სახელმწიფო, მათ შორის ბელარუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, უზბეგეთი, ტაჯიკეთი და სირია. ელოდებიან, რომ დოკუმენტი კენჭისყრაზე იქნება გატანილი წლის ბოლომდე. შარშან ანალოგიურ რეზოლუციას ხმა მისცა გაეროს 193 წევრი ქვეყნიდან 120 ქვეყანამ.**



ეკლესია

# ცხუმ-აფხაზეთი: ბრძოლა ქართველი ერის ერთიანობიდან უცხო იარაღის ძალით მოწყვეტილი სულებისთვის...



*(მარცხნიდან მარჯვნივ)* — ბერდიაკონი დავითი (სარსანია), კონსტანტინოპოლის პატრიარქი ბართოლომეოს I, არქიმანდრიტი დოროთეი (დბარი) კონსტანტინოპოლის პატრიარქის კაბინეტში სტამბოლში *(უკან — მუსტაფა ქემალ ათათურქის პორტრეტი)*.

**ადრე ცნობილი გახდა იმ დიდი სამუშაოს ზოგიერთი დეტალი, რომელსაც შორსმჭვრეტელი ადამიანები ქართული ეკლესიის სულიერი კონტროლის ქვეშ აფხაზეთის თანდათანობით დაბრუნებისთვის ატარებენ.**

შეგახსენებთ, რომ როგორც ა.წ. 12 აგვისტოს გაზეთი „ასავალ-დასავალი" იუწყებოდა, „ნაციონალური მოძრაობის" და **მიხეილ სააკაშვილის** უახლოესი გარემოცვის ქმედითი მონაწილეობით შემუშავებული გეგმა ითვალისწინებს **მამა დავით სარსანიას** *(ფოტოზე)* განსაკუთრებულ როლს აფხაზეთში საქართველოს ინტერესების დაცვაში.

მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, რომ გაბედული პროექტის განხორციელებას ხელი მოჰკიდეს ადამიანებმა, რომელთა სიტყვა და საქმე ერთია. ა.წ. სექტემბრის ბოლოს, კონსტანტინოპოლთან შეთანხმებით, რასაც თურქი პარტნიორების დახმარებით მიაღწიეს, **მამა დავითის** აფხაზეთში დაბრუნება მოხერხდა: **ძველი ათონის** (საბერძნეთი) **წმინდა პეტრეს მონასტრიდან** ის მუდმივ საცხოვრებლად **ახალ ათონში** (აფხაზეთი) გადავიდა.

ფაქტობრივად, მისი ჩამოსვლისთანავე — ა.წ. 2 ოქტომბერს, **ახალი ათონის მონასტერში** გაიმართა **„აფხაზეთის წმინდა მიტროპოლიის"** (როგორც მას სეპარატისტები უწოდებენ) საბჭოს რიგგარეშე სხდომა. ამ შეკრებაზე მონასტრის წინამძღვრის მოვალეობები **მამა დავითს** დაეკისრა. მონასტრის წინამძღვრები, ჩვეულებრივ, საკმაოდ მოწიფულ ასაკში ხდებიან, თანაც მღვდლის ან ეპისკოპოსის ხარისხში. მონასტრის სათავეში ახალგაზრდა დიაკვნის დაყენება, რომელიც, ამასთან, მთელი ბოლო წლები საზღვარგარეთ ცხოვრობდა — უკიდურესად იშვიათი, შეიძლება ითქვას, თანამედროვე პრაქტიკაში უპრეცედენტო მოვლენაა. ალბათ, ეს ახალგაზრდა ღვთისმეტყველის ბრწყინვალე ნიჭის გათვალისწინებით გაკეთდა, რომელმაც, ამასთან, სულიერი გამოცდილება ათონზე, **ბერძნული ეკლესიის** ბერმონაზვნურ ციტადელში მიიღო.

ამით, როგორც ადრე პროგნოზირებდნენ, ნაციონალისტურად განწყობილი **მამა ანდრეი ამპარი,** რომელსაც მანამდე სეპარატისტულ „მიტროპოლიაში" ორიდან ერთ-ერთი საკვანძო პოზიცია ეკავა, ჩრდილში გადადის, ხოლო **მამა დავითის** მდგომარეობა მის ადმინისტრაციულ სტრუქტურაში შესამჩნევად მყარდება.

მცირე ხნის შემდეგ, ა.წ. 11 ოქტომბერს, თბილისში **წმინდა სინოდის** სხდომა გაიმართა. საპატრიარქოში ჩვენი წყაროს ინფორმაციით, აფხაზური მიწების **ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის** იურისდიქციაში დაბრუნების და რუსების ექსპანსიონისტური ქმედებებისთვის წინააღმდეგობის გაწევის კომპლექსური პროგრამა დახურულ კარს მიღმა მსჯელობის ერთ-ერთი მთავარი საგანი იყო.

მნიშვნელოვანია, რომ ამჯერად წმინდა მამები მხოლოდ ჩვეული დეკლარაციებით არ შემოიფარგლნენ იმის თაობაზე, რომ აფხაზეთი ჩვენი განუყოფელი ნაწილია, ხოლო რუს ეკლესიის მსახურებს მის საქმეებში ჩარევის უფლება არა აქვთ. მსგავსი სიტყვები ადრეც არაერთხელ გაისმოდა, მაგრამ მათ არანაირი რეალური ნაბიჯები სიტუაციის გამოსასწორებლად არ მოჰყვებოდა.

რა თქმა უნდა, **მამა დავით სარსანიას** სახელი პირდაპირ არ არის ნახსენები სინოდის დადგენილების იმ ნაწილში, რომელიც ქართულ ტერიტორიებზე — აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სიტუაციას ეხება და საჯარო გახდა. თუმცა, გათვითცნობიერებულმა ადამიანებმა დაგვარწმუნეს, რომ ინფორმაცია „საქართველოს საპატრიარქოს სამღვდელოებაზე, რომელიც პერიოდულად ჩადის აფხაზეთში და იქ ღვთისმსახურებას ატარებს", სწორედ ამ ნიჭიერ ბერს ეხება, თუნდაც საკმაოდ ბუნდოვანი ფორმით.

სინოდზე კიდევ ერთხელ შეთანხმდნენ, „თვალი დაეხუჭათ" **მამა დავითისა** და მისი მომხრეების მოღვაწეობაზე აფხაზეთში, თუმცა, ამგვარი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება სულაც არ ეხება პრომოსკოველ მღვდელ **ბესარიონ აპლიას** და მის მხარდამჭერ მღვდლებს, ხოლო რაც შეეხება **რუსული ეკლესიის** წმინდა მამებს, იმათაც კი, რომლებიც დროებით ჩამოდიან აფხაზეთში რუს ოკუპანტ ჯარისკაცებზე სულიერი ზრუნვისათვის, მათ ფეხქვეშ აფხაზეთის მიწა უნდა იწვოდეს.

შეგახსენებთ, რომ აფხაზეთის რუსული ოკუპაციის მიუხედავად, **მამა დავითს** არასდროს შეუწყვეტია საქართველოს საპატრიარქოსთან კონტაქტი და არაერთხელ არის ნამყოფი საქართველოში. 2000 წელს ის ქართველმა ეპისკოპოსმა **ანდრია გვაზავამ** ბერად აღკვეცა და მაშინვე იქნა ხელდასხმული დიაკვნად თავად **კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის** მიერ. მას ნდობით აღსავსე მეგობრობა აკავშირებს ზოგიერთ სხვა მაღალი წოდების ქართველ მღვდელმსახურთანაც.

მომდევნო წლებში **მამა დავით სარსანია** დიაკვნად მსახურობდა **წმინდა გიორგის** ტაძარში, რომელიც მოსკოვში ქართული სათვისტომოს სალოცავი ადგილია, შემდეგ კი შესანიშნავი სალვთისმეტყველო განათლება მიიღო დასავლეთ ევროპაში — შვეიცარიაში. სწავლის დამთავრების შემდეგ მან არ ისურვა რუსეთში დაბრუნება, რომლის აგრესიული ზრახვები 2008 წლის აგვისტოს აგრესიის შემდეგ სავსებით აშკარა გახდა. ამიტომ **მამა დავითი** ათონის სახელოვან მთაზე დასახლდა **აგიუ პავლუს** მონასტერში, **მსოფლიო პატრიარქ ბართოლომეოს I-ის** სულიერი მფარველობის ქვეშ.

ახლა ქართული ეკლესიის ამ სასულიერო პირის საქმიანობას უკავშირდება ძირითადი იმედები საქართველოსთვის **ახალი ათონის მონასტრის** თანდათანობით დაბრუნებაზე. ოცნებები, შესაძლოა, რეალობად ბევრად უფრო ჩქარა იქცეს, ვიდრე ზოგიერთი ფიქრობდა. გამოჩენილი ქართველი მღვდელმთავრების აზრით, სამართლიანობის აღდგენისკენ გზა, შესაძლოა, საგრძნობლად შემოკლდეს ქართულ-რუსული ურთიერთობის საგრძნობი გაუმჯობესების შუქზე.

პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია: ყველა შესაძლო ევროატლანტიკური პარტნიორის ამოქმედებით აფხაზეთის სულიერი რეინტეგრაციის პროექტის განვითარების ადრეულ სტადიებზე **„ნაციონალურმა მოძრაობამ"** ამ გაბედული ჩანაფიქრის განხორციელებისთვის ყველა სხვა პოლიტიკურ ძალაზე მეტი გააკეთა. ახლა კი ქართველი „ეკლესიის აზნაურები" პრაქტიკულად დაუფარავად ამბობენ, რომ სწორედ საქართველოს პრეზიდენტის პოსტიდან **მიხეილ სააკაშვილის** წასვლა შეუწყობს ხელს „ოპერაციის" წინსვლას და გამარჯვებამდე მიყვანას.

**აღდგომა და ხვალეო...**

**გიორგი გაჩეჩილაძე**



აფხაზეთის საეკლესიო დელეგაციის წევრები, ე.წ. აფხაზეთის წმინდა სამიტროპოლიტოს საბჭოს წარმომადგენლები ბართოლომეოს I-ს სამახსოვრო საჩუქარს — წმინდა ევსტათე აპსილელის ხატს გადასცემენ *(კონსტანტინოპოლის პატრიარქის კაბინეტში, ათათურქის პორტრეტის ქვემოთ აშშ-ის დროშაა, რომელიც, ხატის მსგავსად, მინის ქვეშ ხის კიოტშია მოთავსებული, ოღონდ სამკუთხა ფორმის)*.

თითქმის დაუჯერებელი

# მერიის არქიტექტორს პროექტის წაკითხვა უნდა შეეძლოს!

**არქიტექტორი ალექსი მინევიჩი აცხადებს, რომ მერიის არქიტექტურის სამსახურში უამრავი პრობლემაა და ამის შესახებ სპეციალისტები ღიად საუბრობენ. პრაქტიკულად, ყველას ერთი აზრი აქვს, რომ მერიის საკადრო პოლიტიკა გადასახედია.**

კონკრეტულად კი, არქიტექტორი აცხადებს, რომ მან მერიის არქიტექტურის სამსახურს განსახილველად ჩააბარა პროექტი, თუმცა, მათგან იღებს პასუხს, რომ ეს პროექტი თავისი მოცულობისა და ზომების მიხედვით, მიეკუთვნება მეორე და არა — მესამე კლასს. არქიტექტორის თქმით, მისთვის სულაც არ არის მნიშვნელოვანი, რომელ კლასს მიაკუთვნებენ აღნიშნულ პროექტს. მთავარია, რომ დრო გადის და საქმე ჭიანურდება, მერია კი მის პროექტს არ ამტკიცებს. არადა, მერიიდან პასუხს 27 ოქტომბრამდე ელოდნენ და დაჩქარებული წესით პროექტის განხილვისთვის დამკვეთმა უკვე გადაიხადა 800 ლარი. ამიტომ დამკვეთს სურს, თბილისის ზღვასთან დროულად აშენდეს სახლი და პროცედურა არ გაჭიანურდეს.

**— მერიის არქიტექტურის სამსახურიდან მომდის პასუხი, პროექტზე კოლონები რატომ არ არის ნაჩვენებიო? ვუთხარი, გასაგებად წერია, რომ არ არსებობს იქ კოლონები, რადგან კოლონების ფუნქციას ასრულებს მზიდი კედლები და დატვირთვა მათზე მოდის-მეთქი. რად მინდა კოლონები, როცა მზიდ კედლებზე დგას ეს სახლი? მერიის თანამშრომელი ქალბატონი, რომელიც პროექტის განხილვაზეა პასუხისმგებელი, მპასუხობს: მე არქიტექტორი არ ვარ, დეტალებში ვერ ვერკვევიო. ეს პირველი შემთხვევა არ არის ამ ქალბატონთან და, როცა მერიის მეშვიდე ოთახში შევდივარ, ვცდილობ, მასთან არ მოვხვდე, რადგან ეს ქალბატონი, უბრალოდ, ვერ კითხულობს ნახაზს. ვუთხარი: ქალბატონო, განმარტებით ბარათში წერია, რომ მზიდი კედლებია-მეთქი, მაგრამ მაინც, რატომღაც საუბარი მიდის კოლონებზე. არადა, დამკვეთი ერთი უბრალო ოჯახია, მეტი ფული არ აქვს და უბრალო ერთსართულიან სახლს იშენებს, სამი ოთახით. მერიის თანამშრომელი, რომელიც ამ საქმეს კურირებს, შეიძლება, არქიტექტორი არ იყოს, მაგრამ ნახაზის წაკითხვა ხომ უნდა შეძლოს?! მე ვამბობ, ხომ გადმოგეცით მონაცემები და ამ მონაცემების მიხედვით, ახლა თქვენ გადაწყვიტეთ, რომელ კატეგორიას მიაკუთვნებთ აღნიშნულ ნაგებობას-მეთქი. ამათ კი შენობა ერთი კატეგორიიდან მეორეში გადაჰყავთ და ასე გაჰყავთ დრო,** — აცხადებს ალექსი მინევიჩი.

მისივე თქმით, რა თქმა უნდა, მერიაში არიან კარგი სპეციალისტებიც, მაგრამ, მთლიანობაში, ქალაქის თვითმმართველობას არ ჰყოფნის სპეციალისტები. არქიტექტორს არ სურს, პოლიტიკური ფონი მიეცეს ამ ყველაფერს, მაგრამ მიაჩნია, რომ საკადრო პოლიტიკა უნდა შეიცვალოს და მერიის სამსახურში სპეციალისტები უნდა აიყვანონ და არა — ნაცნობები. იგი თანახმაა, არქიტექტურის სამსახურმა თუნდაც სტაჟიორი სტუდენტი დაასაქმოს, ოღონდ მას ნახაზების წაკითხვა შეეძლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი პროექტის კურატორთან და მისნაირებთან კამათს აზრი არ აქვს.

**— ამით ბევრს გადავიმტერებ არქიტექტურის სამსახურში, ბევრს არ მოეწონება ჩემი საუბარი, მაგრამ კონკრეტულმა ადამიანებმა თავიანთი ინტერესები უფრო მაღლა არ უნდა დააყენონ, ვიდრე სამსახურებრივი საქმიანობა. არ მინდა, იმ ქალბატონმა დაკარგოს სამსახური, მაგრამ ასეთ რამეებს როგორ მიწერს?! აბსურდია, რომ სპეციალისტმა, რომელსაც პროექტის განხილვა ევალება და პროექტს ვერ კითხულობს, შენიშვნები დამიწეროს. ვითომც ხარვეზები დაგვიდგინეს და მოგვთხოვეს, „ვინაიდან საპროექტო შენობის განთავსებით იჭრება მიწის ნაკვეთზე მდებარე ერთი ძირი ხე-ნარგავი, წარმოვადგინოთ მერიის ეკოლოგიის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული თანხმობა ხის მოჭრის, ან გადარგვის შესახებ". სინამდვილეში, ეს არის საკუთარ ტერიტორიაზე ამოსული ჭერმის ხე და მისი მოჭრისთვის არანაირი ნებართვა არ არის საჭირო,** — აღნიშნა არქიტექტორმა.

მისი თქმით, ელექტრონული სისტემა კარგია, ამით პროცედურები ვითომ გამარტივდა, მაგრამ, თუ ადრე ხარვეზებს იოლად აღმოფხვრიდნენ, ახლა ყველაფერს ართულებენ. რაც მთავარია, მერიის ახლანდელი ე.წ. სპეციალისტები არ აღიარებენ შეცდომებს.

**იმისვე გასარკვევად, თუ რატომ ბრკოლდება ალექსი მინევიჩის კონკრეტული პროექტის დამტკიცება თბილისის მერიაში, ჩვენ დავუკავშირდით არქიტექტურის სამსახურის პირველ-მეორე კლასის სანებართვო განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელ ვერა ზაზაშვილს.**

მან გვითხრა, რომ მერიის არქიტექტურულ სამსახურს ტექნიკური ხასიათის შეცდომა გაეპარა და არასწორად მიუთითა შენობის კლასი.

**— სპეციალისტთან შეხვედრა, მე მგონი, აღარ დასჭირდებათ, რადგან ჩვენი მხრიდან დაშვებული ხარვეზი აღმოიფხვრა. ჩვენც არ ვეთანხმებით, რომ ეს არის მესამე კლასის შენობა-ნაგებობა. აღნიშნული პროექტი აუცილებლად დაუმტკიცდება, როცა თბილისის მერიის ეკოლოგიის საქალაქო სამსახურიდან მოიტანს თანხმობას ხის მოჭრასთან დაკავშირებით. სხვა ხარვეზი პროექტში აღარ არის და ყველაფერი შესწორებულია. მართალია, ფოტოსურათებზე ჩანს ხე, მაგრამ ზუსტად ვერ ვარკვევთ, რა ხეა, შეიძლება, წითელ წიგნში შეტანილი ხეც იყოს. თუ ბროწეული ან თუთაა, მაინც თავს ვიზღვევთ და მის მოჭრაზე ეკოლოგიის სამსახურის თანხმობას ვითხოვთ. ეს არ არის პროცესის გაჭიანურება, ეს აუცილებელი პირობაა,** — აღნიშნა მერიის თანამშრომელმა ჩვენთან საუბრისას.

**როცა ავუხსენით, რომ ფოტოსურათზე ჭერმის ხე იყო ასახული, მან გვითხრა: ძალიან კარგი, რომ ჭერმის ხეა, მაშინ ეკოლოგიის სამსახური უბრალოდ დაუწერს, რომ არანაირი პრობლემა არა აქვს ხის მოჭრასთან დაკავშირებით.**

**მარიამ ლოლაშვილი**

ჭადრაკი

# ჯერჯერობით — დაუმარცხებლად



**პოლონეთის დედაქალაქში გრძელდება მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა ევროპის გუნდური პირველობა, რომელშიც ჯერჯერობით დაუმარცხებლად ასპარეზობენ საქართველოს წარმომადგენლები. ჩვენი მანდილოსნები ყოველთვის იბრძოდნენ საპრიზო ადგილებისთვის და არაერთხელ გაუხარებიათ ქომაგები, მამაკაცებმა კი მხოლოდ ერთხელ — 2003 წელს მოიპოვეს ბრინჯაოს მედლები. და აი, 10 წლის შემდეგ ისევ გაჩნდა საპრიზო სამეულში მოხვედრის შანსი.** ყოველ შემთხვევაში, ხუთი ტურის მერე ჩვენი ბიჭები 8 ქულით მეორე-მეოთხე ადგილებს იყოფენ და დაწინაურებულ საფრანგეთს მხოლოდ ქულით ჩამორჩებიან. მეხუთე ტურში ქართველებმა ისრაელის ნაკრები დამარცხეს დიდი ანგარიშით — 3.5:0.5 (ბაადურ ჯობავა — გილ პოპილსკი 1:0, მიხეილ მჭედლიშვილი — დანი რაზნიკოვი 1:0, გაიოზ ნიგალიძე — ავიტალ ბორუჩოვსკი 1:0, ტალ ბარონი და ლევან ფანცულაია 52-ე სვლაზე დაზავდნენ).

**ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელთა დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა:** უნგრეთი-საფრანგეთი 2:2, რუმინეთი-უკრაინა 2:2, ჩეხეთი-აზერბაიჯანი 1.5:2.5, ბელარუსი-საბერძნეთი 1:3, სლოვენია-სომხეთი 1:3, სერბეთი-ხორვატეთი 2:2, გერმანია-ინგლისი 1.5:2.5.

საქართველოს ქალთა ნაკრებმა ვერაფერი მოუხერხა უხერხულ მეტოქეს — სომხეთის ეროვნულ გუნდს და შეხვედრა ფრედ — 2:2 დასრულდა (ელინა დანიელიანი — ნანა ძაგნიძე 1:0, მერი არაბიძე — ლილით მკრტჩიანი 0.5:0.5, ლილით გალოიანი — ნინო ხურციძე 0.5:0.5, ბელა ხოტენაშვილი — მარია კურსოვა 1:0), არადა, ამ ჩემპიონატის დებიუტანტ არაბიძეს 34-ე სვლისთვის ბევრად უკეთესი პოზიცია ჰქონდა და შეეძლო, საკუთარი გუნდისთვის გამარჯვება მოეტანა. ჩვენი მანდილოსნები 8 ქულით მეორე-მესამე ადგილებს ინაწილებენ. მე-5 ტურში უკრაინამ პოლონეთი გაანადგურა - 3.5:0.5 და ერთპიროვნულად დაწინაურდა. რუსეთი-გერმანია 2:2, სერბეთი-ესპანეთი 1.5:2.5, ჰოლანდია-რუმინეთი 2:2, პოლონეთი (3)-ისრაელი 3:1, საფრანგეთი-აზერბაიჯანი 1.5:2.5, თურქეთი-უნგრეთი 1.5:2.5, ბულგარეთი-ლიტვა 2:2.

**ლექსო ცინცაძე**

სკოლა და სპორტი

# ფედერაცია გეოგრაფიას იფართოებს




**სასპორტო კლუბ „მორკინალის“ ბაზაზე წლეულს მაისში დაფუძნდა სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია (პრეზიდენტი გია ბეგიაშვილი, ვიცე—პრეზიდენტები: ირინა სიმონიანი, ავთო ჯალალი და დავით ხავთასი), რომლის მიზანია მოსწავლეთა შორის სპორტის სახეობების პოპულარიზაცია, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, საჯარო სკოლების პედაგოგებისა და მოსწავლეების დაახლოება და სპორტულ თამაშებში ჩართვა, შიდასასკოლო შეჯიბრებებისა და საქართველოს პირველობების ჩატარება, სხვადასხვა სახეობაში სასკოლო ლიგების ჩამოყალიბება.**

საიმისოდ, რომ ფედერაციამ ნაყოფიერად იმუშაოს და მოსწავლეთა უფრო ფართო მასები ჩააბას სპორტულ საქმიანობაში, გადაწყდა, ჩამოყალიბდეს შესაბამისი საქალაქო და რაიონული ფედერაციები. ამას წინათ პირველი საარჩევნო კონფერენცია რუსთავში გაიმართა, რომელსაც 20 საჯარო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებლები ესწრებოდნენ. ქალაქის ფედერაციის თავმჯდომარედ თამაზ რიჟამაძე, მოადგილედ — გიორგი ლომიძე, მდივნად — ალექსანდრე ნიკოლაიშვილი, გამგეობის წევრებად — დავით სანიკიძე და ალექსანდრე ბოისა აირჩიეს.

გუშინწინ მსგავსი კონფერენცია მცხეთაშიც გაიმართა, დაფუძნდა რაიონული ორგანიზაცია, რომელსაც ციხისძირის საჯარო სკოლის სპორტის მასწავლებელი ზურაბ ელყანიშვილი უთავკაცებს.

სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის ინიციატივით უკვე ჩამოყალიბდა ფეხბურთის სასკოლო ლიგა, რომელშიც თბილისის, მცხეთისა და რუსთავის 13 ჯგუფის 650—მდე ნორჩი ფეხბურთელი გაერთიანდება. დეკემბრისთვის მსგავსი ლიგები კალათბურთში, ხელბურთსა და ფრენბურთშიც ჩამოყალიბდება. გამარჯვებულები და პრიზიორები გაისად პირველ ივნისს დაჯილდოვდებიან.

**გივი გაგუა**

ვითარება

# ზვიად სიჭინავას ულტიმატუმი წაუყენეს

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ზვიად სიჭინავას ულტიმატუმი წაუყენეს.**

**სიჭინავას საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ პრეზიდენტი ილია კოკაია უმოქმედობაში ადანაშაულებს და უყენებს ულტიმატუმს, რომ თუ სამი დღის ვადაში ის თანამდებობას არ დატოვებს, პოსტიდან თავად გადადგება.**

ამის შესახებ კი „ზესტაფონის“ პრეზიდენტმა კლუბის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. ულტიმატუმის საფუძველი საფეხბურთო არბიტრაჟის გადაწყვეტილება გახდა, რომლის მიხედვით „ზესტაფონთან“ მოდავე ამ კლუბის ყოფილი ფეხბურთელი თორნიკე გორგიაშვილი თავისუფალი აგენტი გახდა.

ილია კოკაიას თქმით, სიჭინავა კლუბებისთვის სამართლიანი გარემოს შექმნას ვერ უზრუნველყოფს.

„ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვერ უზრუნველყოფს სამართლიანი გარემოს შექმნას იმისთვის, რომ კლუბებმა შევძლოთ ნორმალურ სიტუაციაში მუშაობა. ფეხბურთისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულებაც კვლავ გაუგებარია. ეს გუბერნატორების ჩემპიონატია, სადაც კერძო კლუბები იჩაგრებიან. სფფ-ში პიროვნულად არავის ვერჩი,



მაგრამ როცა ადგილი ტყუილად გიკავია, უნდა წახვიდე. დიდხანს ვითმინე, მაგრამ გადავწყვიტე: ან სიჭინავა გადადგეს, ან მე წავალ“, — განაცხადა ილია კოკაიამ.

წაყენებულ ულტიმატუმზე ზვიად სიჭინავას კომენტარი არ გაუკეთებია. აღნიშნულ ინფორმაციას „SPORTALL“-ი აქვეყნებს.

**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან

# ჩემპიონთა ლიგის ჰიმნი ყველაზე პოპულარულ 10 მელოდიას შორის მოხვდა

**როგორც ინგლისელი სოციოლოგების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, ევროპაში რიგით მოქალაქეებს ყველაზე მეტად ის მუსიკა მოსწონთ, რომელიც ხშირად ესმით და რომელიც ტელეარხების საშუალებით ყველაზე მეტჯერ ჟღერს ხოლმე.**

ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ერთდროულად ჩატარებულმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ ყველაზე ცნობადია სატელეფონო ფირმა “ნოკიას“ ცნობილი ზარი. მას მენდელსონის ცნობილი საქორწინო მარში მოჰყვება და ასე შემდეგ.

სპორტის ქომაგთათვის საინტერესო კი ისაა, რომ ყველაზე ცნობად 10 მელოდიას შორის, არც მეტი, არც ნაკლები, ჩემპიონთა ლიგის ჰიმნიც დასახელდა. ჩემპიონ-



თა ლიგის ჰიმნის მუსიკა გამოკითხული ადამიანების 53-მა პროცენტმა იცნო, რაც, დაგვეთანხმებით, რომ საკმაოდ დიდი ციფრია. მოდით, კიდევ ერთხელ მოვუსმინით ამ მელოდიას და განვსაჯოთ — იმსახურებს თუ არა იგი ასეთ დიდ ცნობადობას...

**ბეჟან დოლიძე**

ვარსკვლავი

# ნოვაკ ჯოკოვიჩი: დედაზე ხშირად ნადალს ვხედავ

**26 წლის სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩი ჩოგბურთის ისტორიაში მეშვიდე მოთამაშე გახდა, რომელმაც ATP-ის წლის შემაჯამებელი ტურნირი მინიმუმ სამჯერ მოიგო. ამ მხრივ საუკეთესო შედეგი შვეიცარიელ როჯერ ფედერერს აქვს (6), ჩეხმა ივან ლენდლმა და ამერიკელმა პიტ სამპრასმა 5-5-ჯერ იმარჯვეს, რუმინელმა ილიე ნასტასემ ოთხჯერ, ხოლო ჯოკოვიჩთან ერთად, გერმანელი ბორის ბეკერისა და ამერიკელი ჯონ მაკინროის აქტივში „შემაჯამებლის“ 3 ტიტულია.** ლონდონში გამარჯვების შემდეგ ნოვაკ ჯოკოვიჩი დევისის თასის ფინალში დაიცავს საკუთარი ქვეყნის ღირსებას და სერბებისთვის საჩემპიონო წოდების დაუფლებისთვის იბრძოლებს.




**— ATP-ის წლის შემაჯამებელ ტურნირზე რაფა ნადალს დამაჯერებლად მოუგეთ. რამდენად სამართლიანია, მსოფლიო რეიტინგში იგი პირველ პოზიციაზე რომაა, თქვენ კი მეორე ხართ?**

— სეზონის შედეგებს მთლიანობაში თუ განვიხილავთ, რაფამ პირველობა დაიმსახურა. მან 2 სადიდსლემო შეჯიბრება მოიგო და ნებისმიერ ჩვენთაგანზე უკეთესი წელიწადი ჰქონდა. ამასთან, საკუთარი გამოსვლის უკმაყოფილების საბაბი არც მე მაქვს. ყოველ შეჯიბრებაზე მაქსიმალურად მობილიზებული გავდიოდი სათამაშოდ. ზოგ ტურნირში წარმატებას მივაღწიე, ზოგში — ვერა, მაგრამ რაც მნიშვნელოვანია, სეზონი მეტად მაჟორულ ნოტაზე დავასრულე.

**— რამდენიმე დღეში (15 ნოემბერი-რედ) დევისის თასის ფინალში მოგიწევთ საკუთარი ქვეყნის ღირსების დაცვა. რა განწყობით ხვდებით ჩეხებთან გადამწყვეტ პაექრობას?**

— მეტად საპასუხისმგებლო მატჩი გველის. არავინ იცის, როდის მოგვეცემა კიდევ ერთხელ საიმისო შესაძლებლობა, დევისის თასის ფინალი საკუთარი აუდიტორიის წინაშე რომ ჩავატაროთ. სადღეისოდ სერბებს ბრწყინვალე საჩოგბურთო თაობა გვყავს და ძნელი სავარაუდოა, სამომავლოდ როდის მოვუყრით თავს



ასეთ ძლიერ შემადგენლობას. ფინალამდე დარჩენილ დროს მაქსიმალურად ნაყოფიერად გამოვიყენებ, უმთავრესი კი შემაჯამებელი ტურნირის შემდეგ ენერგიის სათანადოდ აღდგენა და მოკრებაა.

**— უახლოეს გეგმებზე რას გვეტყოდით?**

— დევისის თასის ფინალის დასრულებისთანავე სამხრეთ ამერიკაში გავფრინდები და რამდენიმე საგამოფენო მატჩში მივიღებ მონაწილეობას. ჯერ ჩილეში რაფა ნადალს შევხვდები, შემდეგ არგენტინაში გადავინაცვლებ და იქ 2 შეხვედრას ჩავატარებ. ერთ-ერთი მოწინააღმდეგე კვლავ რაფა იქნება. წლის მიწურულამდე მასთან ხშირი კონტაქტი მექნება. ბოლო ხანს ნადალს უფრო ხშირად ვხვდები, ვიდრე დედას. ამის შემდეგ, თუკი სამწვრთნელო შტაბი უფლებას მომცემს, დავისვენებ.

**— დასვენების შემდეგ მომავალი სეზონისთვის მზადებას შეუდგებით. რა ამოცანების გადაჭრას დაუსახავთ თავს 2014 წელს?**

— მომავალ სეზონში განსაკუთრებით მოტივირებულად დიდი სლემის შეჯიბრებებზე ვითამაშებ. მიუხედავად იმისა, 2013 წლის სეზონი მთლიანობაში ჩემთვის წარმატებული რომ იყო, სადიდსლემო ტურნირებზე 3 მნიშვნელოვანი მატჩი დავთმე. ეს ფაქტი ჩემ წლევანდელ გამოსვლას ერთგვარ ჩრდილს აყენებს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ფილატელიის სიახლე

# ზლატანი მარკაა

**ზლატან იბრაჰიმოვიჩი კიდევ ერთხელ დაასახელეს შვედეთის წლის ფეხბურთელად. მან ეს აღიარება მერვედ მოიპოვა.**

საინტერესოა, რომ მალე ზლატანი შვედეთის საფოსტო მარკებზე გამოჩნდება. პსჟ-ის 32 წლის ფორვარდის გამოსახულებიანი მარკები გაყიდვაში 2014 წლის 27 მარტიდან გამოვა. იბ-




რაჰიმოვიჩი, შეიძლება, ამ ამბავმა უფრო გაახარა, ვიდრე მობეზრებულმა წლის ფეხბურთელობამ.

„ჩემთვის დიდი პატივია ის, რომ საფოსტო მარკების სახე გავხდები. მეამაყება და მიხარია, რომ მე ამირჩიეს. თავად ბევრ გზავნილს ვილებ, მაგრამ ლამაზი მარკები მათზე იშვიათად მხვდება. იქნებ ეს ამიერიდან შეიცვალოს“, — ღიმილით განაცხადა იბრაჰიმოვიჩმა.

◉ წკეპლიკა

## მკვდრეთით აღმდგარი ისტორიკოსი

„ლიტერატურული საქართველოს“ 2013 წლის 8 ნოემბრის ნომერში (მე-2 გვერდი) დაბეჭდილია სია იმ აკადემიკოსებისა, რომელთაც, თურმე, მხურვალე თანადგომა გამოუცხადეს ახლად შექმნილ მწერალთა აკადემიურ გაერთიანებას.

24-ე ნომრად სიაში წარმოდგენილია შესანიშნავი ისტორიკოსი, ბრწყინვალე პიროვნება ვახტანგ შამილაძე.

არადა, ამ ხუთი-ექვსი წლის წინათ პირადად ვესწრებოდი ამ ნათელი ადამიანის დაკრძალვის ცერემონიალს.

ძმაო თამაზ (წივწივაძეს მივმართავ)!

იქნებ, გამაგებინო, 24-ე ნომრად ჩაწერილი აკადემიკოსი სხვა ვახტანგ შამილაძეა თუ მე ვიყავი ვიღაც სხვა შამილაძის დასაფლავებაზე?!

პატივისცემით
მურმან თავდიშვილი

◉ პროტესტი!

## ეს ჩვენი ისტორიაა...

**საქართველოში ისტორიულ ძეგლებზე ვანდალური თავდასხმების რიცხვი მატულობს.**

მიმდინარე წლის 11 ნოემბერს, დილის 4 საათზე ქ. ჭიათურაში უკეთურმა ადამიანებმა მიზანმიმართულად ცეცხლი წაუკიდეს ი. ბ. სტალინის კონსპირაციულ ბინა-მუზეუმს. განადგურდა მუზეუმის ისტორიული მნიშვნელობის მქონე უნიკალური ექსპონატები, რატომლაც ეს ვანდალური აქტი დროში დაემთხვა საქართველოს პარლამენტის მიერ საბჭოთა სიმბოლიკის აკრძალვასთან დაკავშირებული კანონპროექტის ინიცირებას.

ვგმობთ რა აღნიშნულ ვანდალურ ქმედებას, მოვითხოვთ: სასწრაფოდ გამოიძიონ და პასუხისგებაში მისცენ დამნაშავე პირები.

ასევე მოვითხოვთ, დაუყოვნებლივ დაიწყოს შენობის აღდგენის პროცესი და მიეცეს პირვანდელი სახე, მოსწონთ თუ არა ვანდალებს სტალინი და მისი მოღვაწეობა, ეს ჩვენი ისტორიაა და არავის არ აქვს უფლება, ხელყოს.

საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია,
სტალინის იდეური მემკვიდრეობის დაცვის საზოგადოება.
11.11.2013 წ.

ემუხვარების საგვარეულო ღრმა მწუხარებით იუწყება გვარის ღირსეული წარმომადგენლის, გამორჩეული მკურნალისა და აბაშელთაგან დიდად დაფასებული პიროვნების, ექიმი-გინეკოლოგის

**პოლინა ემუხვარი-გაბელაიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



მარინა კანდელაკი, თენგიზ კალანდაძე, გურამ გუნავა, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი ექიმი, გამორჩეული ადამიანური თვისებების მქონე პიროვნება და მოქალაქე

**პოლინა ემუხვარი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღირსეული პიროვნული თვისებებისა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე ღვაწლმოსილი ექიმი-გინეკოლოგი, ქალბატონი

**პოლინა ემუხვარი-გაბელაია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, სტატისტიკისა და ინვესტიციების ხელშეწყობის სამსახურის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან ღირსეული ქალბატონის

**პოლინა ემუხვარი-გაბელაიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ შვილს, ვახტანგ გაბელაიასა და სხვა ჭირისუფალთ.

გიორგი დუნდუა ოჯახით მწუხარებას გამოხატავს ღირსეული ქალბატონის

**პოლინა უმუხვარი-გაბელაიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს შვილს ვახტანგ გაბელაიასა და სხვა ჭირისუფალთ.

მამუკა კვიტაშვილი ოჯახით თანაუგრძნობს ვახტანგ გაბელაიას დედის

**პოლინა ემუხვარი-გაბელაიას**

გარდაცვალების გამო.

◉ დედაქალაქი

# სარფიანი „ვარჯიში“

**ილია ილფისა და ევგენი პეტროვის უკვდავმა გმირმა ოსტაპ ბენდერმა, როგორც გვახსოვს, მოქალაქეთაგან ფულის ამოღების ოთხასი „შედარებით კანონიერი“ ხერხი იცოდა. ჩვენმა თანამოქალაქეებმა კი ბოლო დროს იმ ნუსხას კიდევ ერთ, როგორც ჩანს, სავსებით ლეგალურ მეთოდს მიაგნეს, რადგან, როგორც ცნობილია, რაც კანონით აკრძალული არ არის, ნებადართულია.**



თბილისელები უდავოდ მიაქცევდნენ ყურადღებას, რომ ბოლო დღეებში დედაქალაქის რამდენიმე ხალხმრავალ ადგილას, მათ შორის ვაგზლის მოედნის ზედა ნაწილში ნაძალადევის გადასასვლელ ხიდთან, რუსთაველის ძეგლის წინ, სხვაგან, მოხერხებულმა ხალხმა თანამოქალაქეებს, საკუთარი ფიზიკური ძალის გამოსაცდელად... სპორტული ღერძები დაუდგეს(!). საგანგებოდ გაკრული აფიშებიდან კი ცნობისმოყვარეთ ამცნობენ, რომ **ორივე ხელით ღერძზე ჩამოკიდებულმა კაცმა ასე ორ წუთს უნდა გაძლოს, რაშიც, დათქმული პირობის შესრულების შემთხვევაში, 50 ლარს პრიზად მიიღებს, ხოლო დამარცხების შემთხვევაში „შეჯიბრში“ მონაწილეობაში მისაღებად გადახდილი 5 ლარი ორგანიზატორებს რჩებათ.**

ეს, ერთი შეხედვით არც თუ ძალიან რთული „ვარჯიში“, ბევრისთვის არც მაინცდამაინც ადვილი შესასრულებელია, სხვა შემთხვევაში, აბა, ამ სატანვარჯიშო „ტურნირისგან“ რა ხეირი უნდა ჰქონდეთ „მცირე ბიზნესმენებს“?

არადა, საქმე არც მთლად ასეა – სახელდახელო პაექრობაში უკვე პირველი გამარჯვებულებიც არიან: ნაძალადევის დასაწყისში გასასვლელ ხიდთან საასპარეზოდ დაახლოებით 30 წლის ერთობ შეზარხოშებული ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა, რომელმაც გარშემო შეკრებილ სეირის მაყურებლებს ერთიანად დაუარა – სამი ლარი მაქვს, ორიც დამიმატეთ, გავიმარჯვებ და უკან ხუთს დაგიბრუნებთო. „სარფიან“ შეთავაზებას კარგა ხანს არავინ თანხმდებოდა, ემანდ ფული არ დაგვეკარგოსო, მაგრამ ბოლოს ერთი შუახნის კაცი მაინც აყვა ცდუნებას თუ სანახაობის ხილვის სურვილს და შეჭიკჭიკებული ახალგაზრდაც ორი ლარით „დაასპონსორა“. თქვენ წარმოიდგინეთ, პატივცემულო მკითხველო, გაუმართლა კიდეც – „ტანმოვარჯიშემ“ დათქმული ორის მაგივრად ჩამოკიდებულმა ორი წუთი და 15 წამი „გაძლო“, პრიზის თანხაც მიითვალა და „სპონსორიც“ გაისტუმრა თავის პროცენტიანად. ისე კი, კაცმა არ იცის, ეს ახალგაზრდა მართლაც ჯანიანი შემთხვევით გამვლელი იყო, თუ იდეის ავტორების ერთგვარი „სარეკლამო ტრიუკის“ მონაწილე.

ისე კი ამ ამბავს, როგორც ყველა ბიან, კურიოზებიც ახლავს: „შეჯიბრის“ პირობების გაცნობის შემდეგ ორ დარბაისელ ქალბატონს ერთმანეთში დავა მოუვიდა – ერთი იძახდა, ეს წონაში დაკლების ახალი მეთოდიაო, მეორე თავს იკლავდა, გინდა თუ არა... მომავალი ოლიმპიადისთვის უცნობ ტალანტებს არჩევენო!

წადი და გაიგე ახლა კაცმა, რა ხდება სინამდვილეში?

**ნინო ალექსანდრია**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

გამომცემლობა „არტანუჯი“ და გამომცემლობა „ინტელექტი“ ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, პროფესიონალი მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე

**არიანე ჭანტურია**

ქართველი გამომცემლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამომცემლობა „დიას“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, ცნობილი გამომცემელი

**გია ჩიქვანაია**

◉ ფოტოფაქტი

ჩვენში ხალხს უმეტესად დიდი ავტომობილები მოსწონთ. იაპონიაში, ჩინეთში და აზიის სხვა ქვეყნებში ავტომოყვარულები უფრო პატარა მანქანებში სხდებიან – ეს უფრო ეკონომიურია და შეგიძლია, სადაც გინდა, იქ გააჩერო.




## აზიას ატაიფუნებს...

წელიწადში ყველაზე ძლიერი და მთელი ისტორიის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ტაიფუნი თავს დაატყდა გასულ კვირას ფილიპინებს, შემდეგ კი მეზობელ აზიურ ქვეყნებსაც. ქარის სიჩქარე საათში 275 კილომეტრს აღწევდა, ტალღების სიმაღლე – 6 მეტრს. ამის შედეგია საშინელი ნგრევები და უამრავი დახოცილი ადამიანი, აგრეთვე ათასობით უგზო-უკვლოდ დაკარგული.



რეკლამა
გ. ახვლედიანის ქ.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ჩვენი კარაბადინი

### დამარცხდება გრიპი?

**ბრიტანელი მეცნიერები გვპირდებიან, გამოუშვან გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა, რომელიც ეფექტიანი იქნება ყველა შტამთან ბრძოლის დროს. ასეთი პრეპარატის შექმნა შესაძლებელი გახდება მას შემდეგ, რაც მეცნიერებმა განსაზღვრეს ის როლი, რომელიც შეიძლება შეასრულოს ერთ-ერთმა იმუნურმა უჯრედმა ვირუსის გავრცელების შეზღუდვაში.**

ცდა წარმოებდა 2009 წელს ეგრეთ წოდებული ღორის გრიპის მძვინვარების დროს. მეცნიერებს აინტერესებდათ, რატომაა, რომ ზოგიერთი ადამიანი უფრო მოწყვლადია ამ დაავადების წინაშე, ვიდრე სხვები. აღმოჩნდა, რომ იმათ, ვინც არ დაავადდა, დაავადების აფეთქების დაწყების მომენტში სისხლში CP 8T ტიპის მეტი იმუნური უჯრედები ჰქონდათ.

ეს აღმოჩენა შეიძლება გახდეს საფუძველი გრიპის საწინააღმდეგო ახალი ვაქცინისათვის, რომელიც სტიმულს მისცემს ორგანიზმს იმ უჯრედების მეტი ოდენობით წარმოებისთვის, რომლებიც თრგუნავენ ვირუსს მაშინაც კი, თუ მას ახალი შტამები იწვევს.

**ინფორმაციას კომენტარს უკეთებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ვლადიმერ ტატიშვილი:**

— გრიპის ვაქცინების მწარმოებელთა ცისფერი ოცნებაა — თავი დააღწიონ იმის აუცილებლობას, რომ ყოველწლიურად განსაზღვრონ გრიპის ვირუსების რომელი სტერეოტიპები იქნება ცირკულირებული გაისად,და მოასწრონ, აამოქმედონ ვაქცინა სეზონისთვის. ამიტომ პერსპექტივაში ჩვენ უნდა მივიღოთ „უნივერსალური ვაქცინა“. მაგრამ ამგვარი ვაქცინის იდეიდან მის განხორციელებამდე ჯერ კიდევ შორია. მანამ კი ვადევნოთ თვალყური წარმატებებს CP 8T ლიმფოციტების სტიმულირებაში.

### ფრთხილად, ბავშვებია!

**მოვლენებს, რომლებიც ზიანს აყენებენ ფსიქიკას საბავშვო ასაკში, შეუძლიათ, შეამცირონ სიცოცხლის საერთო ვადა, აცხადებენ ფრანგი მეცნიერები. მათ ანალიზი გაუკეთეს მონაცემებს 15 ათასი ადამიანის შესახებ, რომელთა ნაწილმაც ფსიქიკური ტრავმები გადაიტანა, როდესაც 7,11 ან 16 წლისანები იყვნენ.**



აღმოჩნდა, რომ ძლიერი განცდები ბავშვობაში დაკავშირებულია 50 წლის ასაკამდე გარდაცვალების გაზრდილ ალბათობასთან. ორი და მეტი ტრავმის მომგვრელი მოვლენის გამოცდილება ზრდიდა ვადამდელი სიკვდილის რისკს ქალებში 80 პროცენტით, მამაკაცებში — 57 პროცენტით.

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ძლიერ სტრესს, რომელიც ბავშვობასა და ყრმობაში გადავიტანეთ, მივყავართ დისბალანსთან ჰორმონალურ და იმუნურ სისტემებში, რაც შემდგომ აისახება ჯანმრთელობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე.

### ინფორმაცია განსჯისათვის

**კოლექტივის წევრთა 70-80 პროცენტის ვაქცინაცია გრიპის წინააღმდეგ იცავს მთელ კოლექტივს, ამბობენ მეცნიერები. იაპონიაში კი დაიანგარიშეს, რომ სკოლის 420 მოსწავლის — ინფექციის მთავარი გამავრცელებლების — ვაქცინაცია იცავს ერთ მოზრდილ ადამიანს გრიპით სიკვდილისგან.**

გაიკეთებთ აცრას გრიპის საწინააღმდეგოდ ამ შემოდგომაზე?

44 პროცენტი — არა, აცრებისა მეშინია;
21 პროცენტი — არ ვიცი, ჯერ არ გადამიწყვეტია;
20 პროცენტი — კი;
15 პროცენტი — გავიკეთებ, თუ აცრებს ორგანიზებულად მოაწყობენ, სამუშაოზე.

**სულ გამოკითხვაში 1632 კაცმა მიიღო მონაწილეობა.**

## სურდო ციფრებსა და ფაქტებში



**სურდოს (ან, როგორც ექიმები უწოდებენ, რინიტი) შეიძლება გამოწვეული იყოს ვირუსებით, ბაქტერიებით, ალერგენებით, სტრესით, ცხვირის ლორწოვანის ტრავმით.**

სურდო — მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული დაავადებაა—ამის გამო იგი გინესის რეკორდების წიგნშია შეტანილი.

ბაქტერიების 250 სახეობა და დაახლოებით 100 სხვადასხვა ვირუსი იწვევს სურდოს.

**დაახლოებით 3 წელი დადის ცხოვრებაში თანამედროვე მოზრდილი ადამიანი გამოტენილი ცხვირით.**

ერთი წლის განმავლობაში ადამიანი შეიძლება 10-ჯერ დაავადდეს სურდოთი.

3-5 დღეში უნდა გაიაროს ყველაზე გავრცელებულმა ვირუსულმა (სერიოზულმა) სურდომ, თუ მას სწორად ვუმკურნალებთ. ხალხში გავრცელებული მოსაზრება, რომ სურდო გადის 7 დღეში იმისგან დამოუკიდებლად, მკურნალობენ თუ არა მას, ჭეშმარიტებას არ შეესაბამება.

**მოსახლეობის 11-25 პროცენტს (ყველა ასაკის ჩართვით) აწუხებს ალერგიული რინიტი.**

ადამიანებს „თოჯინების“ ცხვირუკებით დანარჩენებზე უფრო ხშირად აწუხებთ სურდო, მაშინ, როდესაც ადამიანებს „კარტოფილის“ ცხვირით ყველაზე ნაკლებად აქვთ მასთან პრობლემები.

სურდოს შიშს ეპისტაქსიოფობია (ეპისტაქსოფობია) ეწოდება.

გაციების სურდოს დროს სისხლძარღვთა შემავიწროებელ წვეთებს იყენებენ. ისინი ხსნიან შეშუპებას, ამცირებენ სითხის გამოყოფას. მაგრამ სამი დღის განმავლობაში გამოყენების დროს ასეთი წვეთები თავად იქცევიან ცხვირის გამღიზიანებლად, რაც სურდოს პროვოცირებას იწვევს.

ყველა ხალხს აქვს სურდოს საწინააღმდეგო თავისი საშუალებანი. ჩრდილოეთ ევროპაში პოპულარულია ცხელი აბაზანები ფეხებისთვის. რუმინეთში — ერთი ჩაის კოვზი მარილი პლუს ნახევარი ლიმონის წვენი, გაზავებული წყლით: ამ ნარევს იწვეთებენ ცხვირში. გერმანიაში კი პოპულარულია ნარევი ახლადგახეხილი პირშუშხასი შაქართან და ვაშლთან ერთად — რამდენიმე სუფრის კოვზს ღებულობენ დღეში.

**შუა საუკუნეებში ეკლესია მხოლოდ ერთ შემთხვევაში რთავდა უსიტყვოდ ნებას განქორწინებას: ერთ-ერთი მეუღლის მყრალი სურდოს დროს.**

5-ჯერ იშვიათად ეწევიან სიყვარულობანას ადამიანები გაბიდნილი ცხვირით. ჩვენ ქვეცნობიერად მივისწრაფით პარტნიორისკენ ჩვენთვის სასიამოვნო სუნით.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### ჟურნალ-გაზეთებიდან



### მედიის თავისუფლების რეიტინგში საქართველო მეორე ადგილზეა

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში საქართველო მედიის თავისუფლების რეიტინგში მეორე ადგილზეა, — ინფორმაციას „ინტერნიუს-უკრაინას“ კოორდინატორი ნატალია სადი ავრცელებს. მისი თქმით: „განახლებული მონაცემებით, პირველი ადგილი რეიტინგში მოლდოვამ დაიკავა, მეორე — საქართველომ, მესამე — სომხეთმა, მეოთხე — უკრაინამ, მეხუთე და მეექვსე ადგილებზე კი აზერბაიჯანი და ბელარუსი გავიდა“. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მედიის თავისუფლების რეიტინგი ექსპერტების გამოკითხვის გზით დგება, რომლებიც შესაბამის ქვეყნებს განსაზღვრულ ქულებს ანიჭებენ.

„ვერსია“

### „ირაკლი ღარიბაშვილი დამოუკიდებელი მოთამაშე გახდება“

— **მიიჩნევს** დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტი სოსო ცისკარიშვილი, — ღარიბაშვილი ტოვებს ძალიან პოზიტიურ შთაბეჭდილებას. მისი საქმიანობა შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე გვაძლევს საშუალებას, ვიფიქროთ მისი მომავალი წარმატების რეალობაზე. ოღონდ მინისტრობა და პრემიერ-მინისტრობა საკმაოდ განსხვავებული თანამდებობებია. რასაკვირველია, ამ ვითარებაში უნდა გაიზარდოს ვიცე-პრემიერების როლი. ახალი პრემიერ-მინისტრის წარმატების ხარისხი დიდად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ ვის დაასახელებს ვიცე-პრემიერად.

„ახალი თაობა“

### ვაკეში „ელიტური სასაფლაო“ გაიხსნა

**ვაკეში**, რუსეთის ყოფილი საელჩოს მიმდებარე ტერიტორიაზე „ელიტური სასაფლაო“ გაიხსნა, განცხადება ასეთი სასაფლაოს გახსნის შემდეგ ქალაქის მასშტაბით არის გაკრული. მასში ნათქვამია, რომ ახალი, ელიტური სასაფლაო მამა იოანეს ლოცვა-კურთხევით და საპატრიარქოს მხარდაჭერით გაიხსნა და მითითებულია საკონტაქტო ტელეფონი. „ელიტურ სასაფლაოზე“ დაკრძალვა 1500 დოლარი ღირს. ამ დროისთვის ადგილების სიმრავლეა. მიცვალებულისთვის წესის აგების მსურველებს კი შეუძლიათ, იქვე მდებარე ეკლესიას მიმართონ.

„რეზონანსი“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

— **ექიმო**, როგორც კი ბიუსტჰალტერს მოვიხსნი, მკერდი მაშინვე მიმკვრივდება და ლამის მთასავით მიდგება, რისი ბრალია? — წუხს ქალი.

— საოცარია, აბა ერთი შეიხსენით ლიფი!..

ქალმა შეასრულა ექიმის ნათქვამი და ისედაც მაღალი მკერდი მართლაც მაშინვე თითქოს ყალყზე შედგა.

— რას იტყვით, ექიმო, როგორია თქვენი დიაგნოზი?

— ჯერ ერთი რამის თქმაღა შემიძლია, — ეუბნება შეჩქვიფებული ექიმი, — თქვენი ეს დაავადება გადამდებია!

* * *

— **ალო**, როგორა ხართ? — მობილურით ურეკავს ტიპი ძმაკაცს.

— მაპატიე, ძალიან დაკავებული ვარ, ვერ დაგელაპარაკები.

— ისეთს რას აკეთებ?

— ქმრის მოვალეობას ვასრულებ.

— შენ რომ უცოლო ხარ?!

— სხვისას ვასრულებ.



**მიხომ** კრაზანა დაიჭირა და ფრთებით უჭირავს.

— შვილო, გაუშვი მწერი! — ეუბნება დედა. — მას ხომ ეტკინება!

— გავუშვა და მერე მე მეტკინოს?

* * *

**ნამთვრალევ** ტიპს გამოეღვიძა. პირი გამშრალი აქვს, თავი უსკდება...

— იქნებ რამე მომიტანო „პახმელიაზე“ გამოსასვლელად... — ეუბნება ცოლს.

— რა მოგიტანო, გუშინ ყველაფერი დალიე...

— მაცივარში რომ გვქონდა?

— ის ხომ გუშინწინ ჩაცეცხლე...

— სერვანდში რომ იდო?

— სამი დღის წინათ არ ჩახეთქე?

— სარდაფში რომ გვქონდა არაყი?

— ის შენი სიმამრის ორმოცზე გადახუხე...

— სიმამრის ორმოცზე! მეც არ მიკვირდა, რად არ ჩანს ეს კაცი ამდენ ხანს-მეთქი?..

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24